



ქველ ქალი  
საზოგადოებრივი

**ზაფათის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნაბეჭდი—15 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება:** თფილისში—„წერაკითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, სპიო-რის ქუჩაზე, № 35.

ტელეფონი № 734.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

თავადი ნოე ბესარიონის ძე და ალექსანდრე ვლასას ძე ლორთქიფანიძეები გულითად მადლობას უძღვნიან ყველა ნაცნობ-ნათესავს, რომლებმაც თავის გულითადი მწუხარება გამოავიციან პირველს ძმის და მეორეს ბიძის პარმენ ბესარიონის ძის ლორთქიფანიძის გადაცვალების გამო.

### ქიათურის ვითარება. III \*).

განვიხილოთ ახლა ქიათურის შავიქვის მადნებში მომუშავეთა დაზღვევის უმთავრესი პირობები. როგორც მოხსენებული გვქონდა, მრეწველთა საბჭო 1901 წლიდან ზღვევს შავი ქვის მუშებს კერძო საზოგადოებაში—„როსსია“. ეს დაზღვევა ამნაირათ წარმოებს: წლის დასაწყისში საბჭო ატყობნებს საზოგადოებას, თუ რამდენი მუშა იქნება მდგომარე წელს მადნებში და რა დღიური ქირა უნდა ეძლიოთ მუშებს. ამის კვალობაზე გამოითვლება მთელი სამუშაო ქირის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში; ამ რაოდენობით განისაზღვრება იმ ჯილდოს რაოდენობა, რომელსაც საზოგადოება ართმევს საბჭოს თავის თავზე რისკის მიღების გამო, როცა მუშას რაიმე უბედურება შეემთხვევა მუშაობის დროს. აი ეს არის არსებითი მხარე მუშების კოლექტიური, სეკრთო, დაზღვევის კერძო საზოგადოებაში. მაგრამ ჩვენთვის ეს ისე საინტერესო არ არის, როგორც სხვა გარემოებანი, სახელდობს აი რა: პირველი: რა საზღაურს იძლევა საზოგადოება, როცა მუშა უბედური შემთხვევისაგან სახიზრდება და სწეულდება, ასე რომ თავის შრომით ცხოვრება აღარ შეეძლება და ან სრულებით ესალმება სიცოცხლეს, ე. ი. კვდება; რა ნაი-

შინჯარსი: ჭიათურის ვით., გ. მარილადისა.—სხვადასხვა ამბები.—კარესმანდენები.—რუსეთის ცხოვრება —საზღვარ-გარეთ —ცხოვრება, მთ. ვ კირიაკოვისა, თარ. ბარანისა.—არწივი და სხილო, ლექ. ცახულისა.—ნემბეჭი, მთ. ან. ნემოევსკისა, თარ. სვირსკანდელისა.—ლექსი. ი. კვდომეილისა.—სამშობლოს ცახე, რიგოლეტისა.—სისხ. სპარ. ახალი დებ.—უწინადაზოგადობიდან.—ჭიათ. ნდობ. საზ. კრება, წევრისა.—განცხ.

რათ აჯილდოებს იგი ამ შემთხვევაში ერთი მხრით დასახიზრებულ და დასწეულ მუშას და მეორე მხრით მოკლულ მუშის ქვრივ-ობლებს და ნათესავებს. მეორე: რა და რა შემთხვევაში საზოგადოება თვლის თავის თავს ვალდებულია უზღოს ნივთიერი ზარალი დაზღვეულ მუშას.

ეს გარემოებანი აღნიშნულია საზოგადოების მე-19 და მე-21 პარაგრაფებში. პირველი იმათგანი, ე. ი. § 19 აი რას ამბობს: თუ დაზღვეული მუშა მოკვდა უბედური შემთხვევის გამო, საზოგადოება აძლევს მთელს დაზღვეულ თანხას (1000 X დღიურ ქირაზე) მის ქვრივს და ობლებს, თუ უკანასკნელნი 16 წლის ზედაჯანი არ არიან; დაზღვეული თანხის ნახევარს — მშობლებს, თუ ისინი გარდაცვლილ მუშის შრომით ცხოვრებდნენ; თუ ვინცოდაა ასეთ პირს არავინ არა ყავს, იმ შემთხვევაში საზოგადოება ფარავს მხოლოდ იმ ხარჯს, რომელიც გამოიწვია გარდაცვალებული მუშის აქიმობამ და დასაფლავებამ, მაგრამ არა უმეტეს 10% დაზღვეული თანხისა. თუ მუშა მუშაობის დროს უბედური შემთხვევისაგან დასახიზრდა, ისე, რომ ამას მოყვა სამუდამო დაუძლიერება, ანუ ინვალიდით გახდენა, ე. ი. როცა მუშას თავის შრომით აღარ შეეძლება თავის რჩენა სრულებით, ან მხოლოდ იმდენათ დაუძლიერდა, რომ მას ნაკლებათ შეუძლია მუშაობა, იმ შემთხვევაში საზოგადოება არჩევს დაუძლიერების (ИНВАЛИДНОСТЬ) სამ ხარისხს: 1) როცა მუშა დაუძლიერდება სამუდამოთ და სრულიად, ასე რომ მას არავითარი შრომა აღარ შეეძლება, საზოგადოება აძლევს მას წლიურ პენსიას სიკვდილამდის, რომელიც (პენსია) განისაზღვრება საზოგადოების ტარიფების მიხედვით; 2) ნახევრათ დაუძლიერების დროს მუშას ეძლევა იმის ნახევარი, რაც სრულათ დაუძლიერების დროს; 3) მესამე ხარისხის დაუძლიერების დროს მუშას ეძლევა 10—25% იმისა, რაც პირველი ხარისხის დაუძლიერების დროს. ყველა დასახელებულ შემთხვევაში საზოგადოებას უფლება აქვს წლიური პენსიის მაგიერ მისცეს დაუძლიერებულ მუშას ერთდროული შემწეობა. თუ ვინცოდაა რამოდენიმე ხნის განმავლობაში მუშა მოლონიერდა და შრო-

\* იხ. „კვალი“ 1903 წ., № 2.

მა შეიძლოა, ამის კვალობაზე შეუმცირდება მას პენსიის რაოდენობა და შესაძლებელია სრულებით შეწყვიტოს მისი მიცემა. გავიგოთ ახლა, თუ რით ხელმძღვანელობს საზოგადოება დაუძღურების ხარისხის გამოსაცნობათ. საზოგადოების წესდების იგივე მე-13 პარაგრაფი დაუძღურების ხარისხის გამოსაცნობათ შემდეგ საზომს იძლევა: ზიჯველი ხარისხი: ა) როცა მუშა დაკარგავს სრულებით მხედველობას, ორივე თვალებით დაბრმავდება; ბ) როცა მას წაერთმევა ორივე ხელი, ან ორივე ფეხი; ვ) ან ერთ და იმავე დროს ერთი ფეხი და ერთი ხელი, და დ) როცა სრულებით ჰკუზღებ შეშლდება, გაგიჟდება. შუაჯე ხარისხი: ა) როცა მუშას წაერთმევა ან ერთი ხელი და ან ერთი ფეხი; ბ) როცა დაბრმავდება ნახევრათ, ე. ი. დააკლდება ერთ თვალს და გ) გაგიჟდება იმდენათ, რომ მუშაობა კიდევ შეეძლება რამდენიმეთ. შესამე ხარისხი: ყველა ისეთი შემთხვევები, როცა მუშა ცოტათი უძღურდება.

აი ის კრიტერიუმი, რომლითაც საზოგადოება „როსსია“ ზომავს ყოველ უბედურ შემთხვევას; აი ის ნორმა, რომლის საშუალებით იგი აფასებს მუშის სიცოცხლეს და მის დაუძღურებას. ყველა უბედურ შემთხვევის დროს საზოგადოება მხოლოდ ამ ნორმას უყურებს და მკაცრათ ატარებს იმ ზარალის დაფასების დროს, რომელიც მუშას შეემთხვევა უბედური შემთხვევის გამო; იგი არ შედის არავითარ გარემოების გამოძიებაში. ვთქვათ, მაგ., რომ მუშას ორივე ფეხი ან ორივე ხელი არ წაერთმევა, ისინი მას აბია სხეულზე, მაგრამ ისინი შემხმარია ან მათი ხმარება შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზების გამო, თუ ტკივილს, თუ სხვა რამის, ასე რომ ეს შემთხვევა არსებითათ უდრის იმას, როცა კაცს სრულებით აღარ აქვს ეს ორგანოები; მაგრამ საზოგადოება სრულებით არ შედის ამის გარჩევაში: რაკი ხელი ან ფეხი ისევ ტანზეა შერჩენილი, თუნდაც სრულიად გამოუდგვარი, იგი ამნაირ შემთხვევას მესამე ხარისხის დაუძღურებათ ჩათვლის; კარგი იქნება, რასაც, როგორც მოგეხსენებათ, ძლიერ ნაკლებათ იჩენენ ასეთი დაწესებულებანი, როგორც არის დამზღვევი საზოგადოება „როსსია“. მეორე მხრით ადვილი წარმოსადგენია, რომ მუშას სრულებით არ ჰქონდეს მხედველობა დაკარგული, ან არ იყოს ჰკუზღებ შეშლილი, და ხელები და ფეხებიც არ აკლდეს, მაგრამ ისე დაუძღურებული იყვეს, რომ სრულებით არ შეეძლოს მუშაობა, საზოგადოება ასეთ შემთხვევას არასოდეს პირველი ხარისხის დაუძღურებათ არ ჩათვლის; დიდი იქნება კიდევ, თუ ასეთ შემთხვევაში მან მეორე ხარისხის ჯილდო გამოიღოს. ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის შემოფარგლა ასე საზოგადოებამ თავის მოქმედებათა წრე: რაც შეიძლება ნაკლებ შემთხვევაში გამოიღოს პირველი ხარისხის საზღაური, ე. ი. რაც შეიძლება მეტი მოიგოს დასახიჩრებულ და დაუძღურებულ მუშის ანგარიშიდან. გარდა ამისა, როგორც ვიცით, ჰკუზღებ შეშლა საზოგადოების წესდებით მიჩნეულია ისეთ შემთხვევათ, როცა საზოგადოება აძლევს ამ სენით დაუძღურებულ მუშას ან პირველი ან მეორე ხარისხის საზღაურს; მაგრამ იმავე დროს საზოგადოების წესდების მეოცდაერთე პარაგრაფის ძალით ჰკუზღებ შეშლა ჩათვლილია იმ შემთხვევათა რიცხვში, როცა საზოგადოება სრულებით განთავისუფლებულია უზღოს დაუძღურებულ პირს რაიმე ნივთიერი ზარალი. მართალია ხსენებულ (§ 21) პარაგრაფში ჩამოთვლილი იყო ავანაყოფობანი, რომლებიც არ არიან გამოწვეული უბედურ შემთხვევის გამო, მაგრამ როცა სრულებით იშვიათი არ არის ისეთი ადვოკატი, რომელსაც სასამართლოს წინაშე არ შერცხვა ვთქვა, რომ მუშისთვის ფეხები სრულებით საჭირო არ არი-

სო, ოღონდ ამით კი დაეცვა კერძო საზოგადოების ინტერესი\*). ნუ თუ უფრო ადვილი არ არის იმის დამტკიცება, რომ ჰკუზღებ შეშლას უბედურ შემთხვევასთან არათერი საერთო არ აქვსო. გასაკვირალი აქ კიდევ ის არის, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოების წესდება ეწინააღმდეგება მთავრობის პირდაპირ განკარგულებას. ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით (7 ივნისიდან 1895 წელს) იქ, სადაც საზოგადოების § 19-ში ჰკუზღებ შეშლაა დასახელებული, უნდა იყოს განუკურნებელი სენი (неизлѣчимый недугъ), რაც ერთი და იგივე სრულებით არ არის. ხსენებულ განკარგულებას არ ეთანხმება არც საზოგადოების მიერ მიღებული უბედურ შემთხვევათა შედეგების სამ კატეგორიათ, ანუ ხარისხათ, დაყოფა. მაგ., სამინისტროს განკარგულებაში მიღებულია მხოლოდ ორი ხარისხი დაუძღურებისა. როცა დამზღვევი საზოგადოება მოგების გულისთვის თავის წესდებაში ორ ერთი მეორის საწინააღმდეგო მუხლს ათავსებს, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ამავე მიზნის მისახწევათ იგი ეწინააღმდეგება მთავრობის პირდაპირ განკარგულებას და მთავრობა კი მას პასუხს არ სთხოვს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მართალია კერძო დამზღვევი საზოგადოება, როგორც არის საზ. „როსსია“, მეტათ ავიწროებს თავის მოქმედების ფარგალს იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება ნაკლებ შემთხვევაში გამოიღოს საზღაური დასახიჩრებულ ან მოკლულ მუშის დასაკმაყოფილებლათ, მაგრამ სამაგიეროთ როცა იძლევა, ქემინც საკმარისს საზღაურს იძლევაო. სამწუხაროთ, ეს ასე როდია. აქ კიდევ უფრო აშკარა ხდება კერძო საზოგადოების გაუმძღრობა იმავე გაუბედურებული მუშის ანგარიშზე, აქ კიდევ უფრო ღალატობს კერძო საზოგადოება მუშის ინტერესებს და იცავს მხოლოდ თავის ჯიბეს. უწინარეს ყოვლისა მოწიფული ცოლშვილიანი მუშის სიცოცხლეს, რომელიც ლებულობს დღეში, ვთქვათ, ერთ მანათს, საზოგადოება აფასებს 1000 მანეთათ! არც მეტი არც ნაკლები. არა გვგონია, რომ სადმე ასე იაფათ აფასებდენ ადამიანის სიცოცხლეს; რასაკვირველია ჩვენ ამ შემთხვევაში კულტურული ქვეყნები გვყავს მხედველობაში. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ დამზღვევი საზოგადოებისათვის მხოლოდ მოგებას აქვს მნიშვნელობა, და არა ადამიანის სიცოცხლეს,—ეს უკანასკნელი უბრალო იარაღია გამდიდრებისა. ამნაირათ თუ ვინიცობაა უბედურმა შემთხვევამ მუშა იმსხვერპლა, საზოგადოება მის ქვრივობლებს და ნათესავებს აძლევს ერთდროებით დახმარებას, და არა წლიურ პენსიას, როგორც ეს მიღებულია იქ, სადაც გაუბედურებული მუშის ინტერესი აქვთ მხედველობაში და არა კერძო კაპიტალისტების გამდიდრება. რაც შეეხება მუშის დაკმაყოფილებას დაუძღურების დროს, ამ მხრით კიდევ უვარგისათ არის მოწყობილი საქმე. მართალია, საზოგადოების წესდებით დაუძღურების დროს მუშას ეძლევა წლიური პენსია სიკვდილამდის, მაგრამ ეს ისე იშვიათია, რომ, ვგონებთ, ათასში ერთხელაც არ ხდება (ქიათურის მრეწველობაში ჯერ ასეთი შემთხვევა არას დროს არ ყოფილა), რაც მხოლოდ თვით პენსიის სიმცირით აინსნება, რომ ამ პენსიის სიდიდებზე ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა, ავილოთ ისეთი შემთხვევა, როცა მუშა სრულებით უძღური ხდება ყოველგვარი მუშაობისთვის, როცა იგი ან უხელ-ფეხოთ არის დარჩენილი, ან დაბრმავდა და ან ჰკუზღებ შეშლა; ამ შემთხვევაში, როგორც ვიცით, საზოგადოება უნიშნავს დაუძღურებულ მუშას წლიურ პენ-

\*) იხ. გაზ. „С.-Пет. Вѣдомости“, 1903 წ., № 50. О страховании рабочихъ, Н. Самойлова.

სიას, რომელიც საზოგადოების ტარიფებით უნდა განსაზღვროს, იმის კვალობაზე თუ რა თანხაა დაზღვეული და რამდენი წლის იყო მუშა, როცა უბედურება შემთხვევა. მაგ., 30 წლის მუშას, რომლის დღიური ქირა უდრიდა ერთ მანათს და რომელიც უბედურ შემთხვევის გამო ისე დაუძლურდა, რომ სრულებით მუშაობა აღარ შეუძლია, წლიურად დაენიშნება 55—60 მანეთი. და ამას უწოდებენ უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევას! თუ ასეთია დასახიჩრებული მუშის პენსია მაშინ, როცა მას სრულებით აღარ შეუძლია მუშაობა, თქვენ წარმოიდგენთ, როგორი იქნება იგი მაშინ, როცა მუშას, საზოგადოების გადაწყვეტილებით, კიდევ შეუძლია რამდენიმეთ იშრომოს; ჩვენ ვამბობთ, საზოგადოების გადაწყვეტილებით იმიტომ, რომ ხშირათ მუშას სრულებით აღარ შეუძლია მუშაობა, მაგრამ საზოგადოების შეხედულებით ის მხოლოდ ნახევრათ ან მესამედათ არის უძლური მუშაობისათვის. ჩვენ ქვევით დავასახელებთ ნამდვილ მაგალითებს ქიათურის მანდების დაზღვევის პრაქტიკიდან, თუ როგორ აჯილდოვებდა ორი წლის განმავლობაში იმათ დაზღვევი საზოგადოება „როსსია“. ახლა კი განვიხილოთ ხსენებული საზოგადოების მე-12 პარაგრაფი, რომელიც კიდევ უფრო აშკარათ ყოფს მის მიზანს და მის მისწრაფებას. დასახელებულ პარაგრაფში ჩამოთვლილია ის ავთმყოფობანი და ის შემთხვევები, როცა საზოგადოება ყოველგვარ პასუხისმგებლობას იშორებს თავიდან.

აი მისი შინაარსი: საზოგადოება არავითარ ჯილდოს არ იძლევა: ა) ყველა იმგვარი ავთმყოფობის დროს, რომელიც უბედური შემთხვევით არ არის გამოწვეული და რომელსაც ეკუთვნის ყოველგვარი დამბლა, ბნედა, კკუაზე შეშლა, წვეთი, ქირურგიული ოპერაცია, ტრიკი და ყოველგვარი სნეულებანი, რომლებიც კი სიმძიმის აღებით არის გამოწვეული; ბ) უბედური შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია მიწისძვრის, ომიანობის, ხალხის აჯანყების, არეულობის გამო ან დაზღვეულის ბორცტი განზრახვით, ჩხუბის ან თავის-მოკვლით; და გ) ისეთი უბედურება, რომელიც მოხდება იმ დროს, როცა დაზღვეული პირი არ ასრულებს თავის სამსახურს, იმ სამსახურს, რომელიც პირობაშია მოხსენებული.

როგორც ხედავთ, ეს პარაგრაფი კიდევ უფრო მეტათ სასარგებლოა საზოგადოებისათვის თავისი კერძო ინტერესების დასაცველათ, ვინემ მე-19 პარაგრაფი. იგი უფლებას აძლევს საზოგადოებას, საითაც სურს იქით გადალუნოს თავის წესდება, როგორც სურს ისე შეავიწროვოს ან გაათართოვოს თავისი მოქმედების ფარგალი. მე-21 მუხლი მას უფლებას აძლევს გროში არ გამოიღოს იმ მუშის სასარგებლოთ, რომელიც უბედური შემთხვევის გამო დაუძლურდა. თქვენ აქ აშკარათ ხედავთ, თუ რა ფართო სარბიელი ეძლევა საზოგადოების ვეჟილს მოიხმაროს თავის მახვილი ენა იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს, თუ ის ავთმყოფობა სრულებით უბედური შემთხვევით არ არის გამოწვეული, რომ ეს ან თვითონ მუშის ბრალია და ან გამოწვეულია ბუნების მოვლენით. გარდა იმისა, რომ ხსენებული საზოგადოება უმრავლეს შემთხვევაში თავიდან იშორებს ყოველგვარ პასუხისმგებლობას დასახიჩრებულ მუშის წინაშე, იგი ამას არ ჯერდება და პირდაპირ ამბობს, რომ თუ უბედური შემთხვევა მოხდა იმ წუთში, როცა მუშა არ ასრულებდა თავის პირდაპირ მოვალეობას, იგი ამ შემთხვევაშიაც ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან თავისუფალი არისო. ჩვენ ვიცით, რომ ამ უკანასკნელ საშუალებით მეტათ ხშირათ სარგებლობს დამზღვევი საზოგადოება, როცა უნდა ყოველგვარი პასუხისმგებლობა თავიდან

მოიშოროს. და ამის სურვილი კი, როგორც ვიცით, მას ყოველთვის აქვს.

ამნაირათ კერძო საზოგადოება „როსსია“ დებულ კოლექტიურ დაზღვევაში ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავისთვის, ე. ი. იმის მიზანია, რაც შეიძლება შეიძლება და იმავე დროს რაც შეიძლება ნაკლები მივსცე მუშას იქიდან, რასაც იგი მუქათათ დებულობს. ამ მიზნის განსახორციელებლად არის შედგენილი მისი წესდება. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ეს წესდება მოხერხებულათ არის შედგენილი, რომ ჩვენ კიდევაც უნდა გვიკვირდეს, როცა ორიოდ გროშს გადმოუგდებენ გაუბედურებულ მუშას ან მის ობლათ დარჩენილ წვრილ-შვილებს საზოგადოების მდიდარი კასიდან! აქ გასაკვირალი არაფერია. დამზღვევი საზოგადოება წმინდა კომერციული დაწესებულებაა, რომლის ერთათ-ერთი მიზანი მოგებაა, და არა მრეწველობის მიერ დასნეულებული და დასახიჩრებული მუშების დამარება. დღეს ეს აღარავისთვის (რასაკვირველია, გარდა „ცნობილი ქართველი მოღვაწის“ ბ. ზდანოვიჩისა!) საიდუმლოება არ არის. ვინც მუშების დაზღვევის საქმეს ცოტათი იცნობს, იმისთვის აშკარაა, რომ კერძო საზოგადოებაში დაზღვევას ყველაზე ნაკლები სარგებლობა თვით მუშებისათვის აქვს. ამაში ჩქარა დარწმუნდენ როგორც მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელი, ისე თვით მრეწველები; ამაშივე იძულებული შეიქნა დარწმუნებულიყო ამ ბოლო ხანებში თვით მთავრობაც. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ სხვადასხვა დარგის მრეწველები უკვე დიდი ხანია შეუდგენ საურთიერთო საზოგადოებათა დაარსებას თავიანთ მუშების დასაზღვევათ უბედურ შემთხვევათაგან და ზოგმა კიდევაც დაარსა, ზოგიც ახლა ემზადება და შუამდგომლობა აქვთ აღძრული. მაგრამ კერძო საზოგადოებაში მუშების უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის მოტრფილად და იმავე დროს ხსენებულ საზოგადოებათა ერთგული და შეუპოვარი დამცველი გამოჩნდა ჩვენში. ეს გახლავთ ბ. გ. ზდანოვიჩი. მაგრამ ჰოი საკვირველებავ! ეს ვაჟბატონი ამ სამი წლის წინეთ, ქიათურის მრეწველთა მესამე კრებაზე, 1900 წელს, თითონ იყო წინააღმდეგი კერძო საზოგადოებაში მუშების დაზღვევისა. არ ვიცით ამ სამი წლის განმავლობაში რა ცვლილება მოხდა. ის კი ცხადია, რომ კერძო საზოგადოებაში დაზღვევის უვარგისობა ამ ხნის განმავლობაში ყველაასათვის კიდევ უფრო აშკარა შეიქნა. მაგრამ შეიძლება ქიათურის მანდების მუშების დაზღვევამ დარწმუნა ბ. ზდანოვიჩი კერძო საზოგადოებათა უპირატესობაში? შემდეგ წვრილში გავიგებთ, თუ რა სარგებლობა მოუტანა ქიათურის მუშებს ამ დაზღვევამ.

მ. მარილაძე.

სხვადასხვა ამბები.

ქუთაისის მაზრაში, როგორც „ნოვ. ობოზ.“-ეს სწერენ, სახნავი მიწების იჯარა მეტის-მეტათ მატულობს. ერთი ქცევა მიწა ქირავდება 30 მან., ე. ი. დესიატინა 80 მან. ამ მიწების ერთათერთი ღირსება ის არის, რომ შემოღობილია და უფრო ნაკლები ზარალი ეძლევა საქონელისაგან. შორაპნის მაზრაში ქცევა მიწა იჯარით იძლევა 15—20 მანათამდე. მაგრამ აქ მიწები არ არის შემოღობილი.

ქიათურის შავი-ქვის ზოგიერთ მსხვილ მწარმოებელთ განუზრახავთ გაუგზავნონ გზათა უწყების და ფინანსთა მინისტრს დებეშა, რომელშიაც სურთ სთხოვონ დაკლებული იქნას ტარიფი ქიათურის რკინის გზაზე.

ვლადივასტოკიდან გვწერენ, რომ იქ შესდგა ქართველ-თავან წრე, რომელსაც მიზნით აქვს დახმარება აღმოუჩინოს ციმბირში გაგზავნილ ქართველ ტუსაღებს.

ხუთშაბათს, 10 აპრილს, სათავად-ახნაურო თეატრში სახალხო თეატრის სასარგებლოთ გამართულ იქნა კონცერტი და წარმოდგენა („ბარბელი ბიჭი“, ვოდ. „უბედური ნაბიჯი“). წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ არტისტი ქალი ე. ჩერქეზიშვილისა, ტ. აბაშიძე და ქ. ანდრონიკაშვილი. აგრეთვე სახალხო თეატრის სცენის მოყვარენი. კონცერტმაც და წარმოდგენამაც მწყობრათ ჩაიარა. ხალხი ბლომით დაესწრო. მენოსავალი გადაღებულია სახალხო თეატრის სასარგებლოთ.

„კვალის“ რედაქციამ მიიღო ახალი საყმაწვილო წიგნი: „ლელი ჯენ“, მოთხრობა ჯემისონისა, 13 სურათით, თარგმანი ელ. წერეთლისა. წიგნი ღირს 3 მ კაპ.

გამოვიდა აპრილის №-ი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“.

### კორესპონდენციები.

**1. ბათუმი.** როგორც შეითხველებმა უწიან (იხ. კაზ. „კვალის“ მე-11 №), ბათუმის საავტომოტოროს ფერმლებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში ბ-ნ ფინკელშტეინის უსაქიელობაზე. ამ დროს ქალაქის მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი შეტერბულში ბძნდებოდა და ამიტომ ხმა დადიოდა, რომ სანამ მოურავი არ დაბრუნდება, საქმეს არ გააჩვენებ. მაგრამ მის მოადგილემ გამგეობის წევრმა ბ-ნმა გ. ი. ვოლსკიმ არ მოუცადა თავ. ანდრონიკაშვილის დაბრუნებას და თითონ იკისრა საქმის განჩევა. 10 მარტს მან საავტომოტოროს კანტონში დაიბარა ფერმლები, ექიმებიც და ზედამხედველიც და სთითხად გამგეობის მათ საქმის ვითარება. შემდეგ მოურავს ფერმლებს თავი და გამოუცხადა, რომ როგორც ვხედავ ბ-ნი ფინკელშტეინი დაშინაჲვსა თქვენს წინაშე, ბევრს ფაქტს არც თითონ უფოს უარს, მარც ამბობს, რომ სიფიცისა და ნერვების აშლილობის გამო მამდიოდა და სიტუვას სდებს შემდეგში არ განიმეორებს ასეთი რამ. მე მას საყვადური და პირველი გაფრთხილება გამოგუცხადე; კხდა თქვენ მოგმართავ და კოსოვ დაივიწყოთ, რაც მომხდარა თქვენს შორის და კვლავინდებურად განაგრძოთ თქვენი მფავლეობის შესრულება. ჩვენ გვეკონა, რომ ამით დასრულდა ეს საქმე და ფერმლებიც ასე ფიქრობდნენ და განაგრძობდნენ თავიანთ მძიმესამსახურს. მარც სურათი გამოიცვალა და ერთხელ განხილული და დამთავრებული საქმე ხელახლა წამოაყენეს.

დაბრუნდა თუ არა ქალაქის მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი შეტერბურგიდან, დახვედრეს მას ახალი ამბები და, სხვათა შორის, ფერმლების საქმეც. არ ეძინა, რასაკვირველია, ბ-ნ ფინკელშტეინის და მის პარტიას (ბ-ნ ე—ს, ექიმ ქალს კოკანს, რომელიც ბ-ნ ფინკელშტეინის alter ego არის. მათ დააჯერეს თავ. ანდრონიკაშვილი, რომ უკეთუ ის მფარველობას არ გაუწევს ბ-ნ ფინკელშტეინს, როგორც მის მიერ გამოწერილ პირს, იმ შემთხვევაში ის თავის თავს განითხრახებს, და თანაც დისციპლინა და სამსახური მოითხოვს, რომ ფერმლები სამაგალითოთ დაისჯონ. ამისთანა ღათაიებით გაბერეს თავ. ანდრონიკაშვილი ამ ვაჟბატონებმა. თავის მხრივ თავ. ანდრონიკაშვილმაც, არ ვიცი რატომ, არ სცნო საჭიროთ შეკითხებდა ამის შესახებ ფერმლებს და ისე დაელო მსჯავრი; არა, მან მარტო ერთ მხარეს მოუხმინა და ასე ვი პირილს გამოცხადდა საავტომოტოროში. დაიბარა ფერმლები ბ-ნ ფინკელშტეინისა და ექიმ ქალი კოკანის თანდასწრებით შეუდგა საქმეს. მან ამოიღო ჯიბიდან ფერმლების განცხადება, ჩახველა, ერთი მრისხანეთ გადახედა თუთრ ხელათში გამო-

წეობილ ფერმლებს, თითქოს ეუბნებო, მე თქვენ განვიწყობ, თუ როგორ უნდა უფროსის წინააღმდეგ ამხედრება და ასე მკაცრი სახის გამომეტყველებით დაიწყო თავის საბრალდებლად სიტუვად.

„აი თქვენი განცხადება, რომელიც ქალაქის გამგეობის საქმეზე შემოიტანეთ, და ამავე დროს არ მოუცადეთ თუ რა მსჯავრს დაუბლა თქვენს საჩივარს ქალაქის გამგეობა, თქვენ ბეჭდვითი სიტუვის საშუალებით მიმართეთ საზოგადოების მსჯავრს. მე არ შეუუდგები იმის განჩევას, თუ ვინ არის თქვენ შორის მართალი და ვინ მტუუანი, დე, საზოგადოება იყოს მჯუფი, მე კი გეუბნებით, რომ თქვენ უფლებს არ გქონდათ ბეჭდვითი სიტუვის საშუალებით გამოგემუდგნებინათ ეს ფაქტი, და თუ ეს გსურდათ, მაშინ სამსახურიდან უნდა გამოსულიყავით და შემდეგ რამდენიც გსურდათ იმდენი გეწვიათ. თქვენ კი, როგორც ვხედავ, დღესაც განაგრძობთ სამსახურს, ამისთანა წესი საქმის არსად იქნება შეწინააღმდეგე, თქვენ გამოამუდგნეთ შინაური საქმე, ამით ჩირქი მისცხეთ იმ დაწესებულებას, სდაც თქვენ მსახურებთ, თქვენ დაარდვიეთ საზოგადო პრინციპი და დისციპლინა, თქვენ სახელი გაუტყუეთ საზოგადო დაწესებულებას, ამიტომ მე უუარადდებოთ ვტოვებ თქვენს საჩივარს და ნებას ვაძლევ ბ-ნ ფინკელშტეინს, როგორც სურს ისე გაკასმართლოს, ხოლო უკუ-თუ ბ-ნი ფინკელშტეინი ინებებს რომელიმე თქვენგანის დატოვებას, არ გაბედათ და კრინტი არ დასძრათ გასეთში, თორემ სსტიკათ დაისჯებით. მე კი, დასძინა ბრალდებულმა-მსჯულებმა, ბ-ნ ფინკელშტეინის ადგილზე რომ გუფოდიოვი, ერთ საათსაც არ დაგაყენებდით სამსახურში“-ა. დამთავრა თუ არა ეს მარგალიტობათ ჩამოსახმელი სიტუვები თავადმა ანდრონიკაშვილმა, ბ-ნ ფინკელშტეინისა და ქ-ნ კოკანის სახე ნეტარებისა და აღფრთხვანების დიმილმა მოიცო, ხოლო უდანაშაულოთ დასჯილნი ფერმლები თავჩაღუნულნი იდგნენ, არ სჯეროდათ, თუ ასე მოურიდებლათ და უტიფრათ გათედავდა სინართლეს და აღმინის პირფანებას ის პირი, რომელიც საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებს.

ჩვენ არ ვიცი რა იურიდიული მოსახრებით ხელმძღვანელობდა თავადი ანდრონიკაშვილი, როცა მისი მოადგილის მიერ გამართლებულ ფერმლებს ამტუუნებდა. ჩვენ არას ვიტუვით ქალაქის მოურავის ამბიარ საქციელზე, დე, თვით მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს მას მჯავრი და უწოდოს ამბიარ საქციელს ის სახელი, რისიც ღირსი არის\*). ამბიარათ ჩვენი მოსახრება, რომ მოსალოდნელია მართალი და სუსტი მხარე გამტუუნდეს, ხოლო მტუუანი და ძლიერი უდანაშაულოთ იცნონ, გამართლდა.

რენევატი

**ლანჩხუთი.** 9 მარტს სამოქალაქო სკოლის დარბაზში მოხდა საჯარო კრება ლანჩხუთის შემსახველ-გამსესხებულ ამხანაგობის კრების თავმჯდომარეთ ერთხმით არჩეულ იქნა შ. ი. ტინცაძე. განსახილველი საგნები იყო 1, არჩევა გამგეობის ერთის წევრისა და 2, სესხის მობოვება. ვიდრე თავმჯდომარე განსახილველ კითხვების განჩევის წინადადებას მისცემდა კრებას, — უმრავლესობამ მოითხოვა გაუქმება 10 თებერვალს მომხდარ წლიური კრების და ხელმეორეთ განჩევა ეველს იმ კითხვების, რომელიც ხსენებულ კრებაზე იქნა განხილული და გარდაწვევტილი. თავმჯდომარემ კარკა ხანს ილხანაკა იმის შესახებ, რომ დღევანდელი კრება არის საგანგებოთ მოწვეული მხოლოდ იმ კითხვების გადასაწვევტათ, რომელიც უწევბებით გეცნობათ და არავითარი უფლებს არა გვაქვს შევეხოთ წლიური კრების გარდაწვევტილებას. მარც ბევრმა მანიც თავისი არ დაი-

\*) რას უნდა მოელოდეს ბათუმი ასეთი „თავისაგან“, როგორიც ბრძანებულა თავადი ანდრონიკაშვილი? სანამ ასეთი თავი თავობს — ბათუმი ხშირად იქნება მოწამე ამგვარ საგმირო საქმეთა. დანახვებული თავი, რასაკვირველია, სიმართლეს ვერ გამოექიმავება; ის დარჩება სამარცხვინო იარაღათ ბიუროკრატისთვის. ვერ მოულოცავთ ბათუმს ასეთ თავს.  
რედაქცია.

შაღეს და მოითხოვეს ამ კითხვის კენჭის ერთი გადაწყვეტა, რასაც თავმჯდომარეც დასთანხმდა. დაუდგეს უთი და 79 ხმით, წინააღმდეგ 62-სა გავიდა გაუქმება 10 თებერვალს მომხდარ წლიური კრების და ეგულა იმ კითხვების გარდასაწყვეტად დაინიშნა მეორე კრება 16 მარტისთვის.

როგორც ამავე კრებაზე ურთი მოვარით აქაიქ ლაშარაკს, — ბეგრე (ორი-სამი ხირის ჩაკნებით) მხოლოდ იმიტომ აღიჭურვეს წლიური კრების წინააღმდეგ, რომ არჩეულ იქნა ძველი გამგეობის ერთი წევრი ბ. კ. იმნაძე და დაინიშნა გამგეობის წევრებს შრომის სასუიდელო. რამდენათ სამართლიანი იყო ამ კრების მოქმედება, ამას ქვევით დავინახავთ, და აქ კი ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ბ. კ. იმნაძის შესახებ, რომლის გამტყვევაც აზრათ ქანდათ წლიური კრების უარყოფილთ.

ამ სამი წლის წინეთ, დაარსდა ეს ამხანაგობა თუ არა, ბ. კ. იმნაძე არჩეულ იქნა გამგეობის ერთ წევრათ და დღემდე სინდისიერათ და ზიანათლათ ასრულებდა ამ მოვალეობას, რაც თითოეულ წევრს ძალიან კარგათ მოეხსენება. ზირველ წელიწადს ამხანაგობას მარტო კ. იმნაძე განაგებდა და დანარჩენი ორი მისი ამხანაგობი-დირექტორები, მხოლოდ თქვენიუდლად ასრულებდა თავიანთ მოვალეობას; თუმცა ერთ მათგანს კანონითაც აკრძალული ქანდა ამხანაგობაში სა-მსახური.

კ. იმნაძე ჩვენ არ მოგვანხია უტოდველ ზანათ, მაგრამ რაშიც საქები და მოსაწონია, რათ არ უნდა ვაქეთ და მოვიწინოთ, — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის სამკითხველს მმართველათ იყო და რამდენიმე თვის განმავლობაში უფლებივე ხარჯების გამოკლებით 100 მანეთი მოგება უჩვენა საზოგადოებას, ხალხო რაც მის მაგიერ სხვა აირჩიეს, ამჩვენებლათ თქვენი ათასჯერ უფრო ზატოსანი, მოკების ნაცვლათ თავნი 420 მანეთი მიირთვა და დღეს თუმცა სამკითხველო დროებით დასურულია, მაგრამ რამც გაიდოს, გრამი კანკი არ აბადია თავის შესახათ.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენ ეხლაც კვტი გვებადება: კ. იმნაძის გამტყვევლის შემდეგ ამხანაგობასაც სამკითხველს ბედი არ ეწიოს!

16 მარტის კრებამ მართლაც გამტყვევაც ძველი გამგეობის წევრები კ. იმნაძისთან ერთათ, რადგანც 10 თებერვალს დაინიშნული ჯამგირი მოუსმე და ისევე უსასუიდელოთ სამსახური მოსთხოვა, რასაც არ დასთანხმდა გამგეობა და გადადგომა ამჯობინა. კრებამ ისარგებლაც ამითი და აირჩიეს სხვა გამგეობის წევრები, რომლებმაც იკისრეს უფასოთ სამსახური. ამავე კრებაზე მოხდა ერთი საკვირველი და სამარცხინო საქმეც. 1900 და 1901 წლის მოსაკები მაშინდელმა კრებებმა გადასდო შენობის ასაკებათ. შენობა უნდა აგებულიყო ისეთი, სადაც უნდა მოეთავსებიათ სამკითხველო, ამხანაგობის კანტონი და თეატრი სახალხო კითხვების თუ წარმოდგენების გასამართავათ. რადგანც ასეთი შენობა თხოულობდა ერთობ დიდ ხარჯს და გადადებული თანხა არ კმარდა, რას მიზეზით ვერც შენობა დაიწეს, 16 მარტის კრებამ არა თუ გამოიჩინა გულუხეობა და ზედ მოუმატა წარსული წლის მოსაკებიც, — არამედ ძველი წლების გადადებული თანხაც უკანვე დაბრუნა, და ერთხელ მათვე სასარგებლოთ გაცემული სამწულოდ ისევე უკანვე წაიღო!.. ამავე დროს გამგეობას ეუბნებიათ თქვენ კი უფასოთ უნდა გვემსახუროთ და ჩვენ დივიდენდები ჯიბეებში უნდა ვიწყოთო. ნეტავი რათ?! რა მოვალეობი არაინ?

შემთხვევით მწერალი

**საშრობი** (გურია). ამა წლის 23 მარტს მოხდა სურების შემხანველამსესებულ ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება, თანხმათ მეათედ წევრთა რიცხვის განცხადებისა. ხსენებულ წევრთა რიცხვი უკანონოთ ცნობდა ამა წლის 18 თებერვლის მორიგ კრებას და თხოულობდა ამ კრებაზე აღძრულ კითხვების ხელახლა განჩევას.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ნოე რამიშვილი. თავმჯდომარემ შეკითხა თვითველ განცხადებაზე ხელისმომწერს, თუ რით არის ის

მაყოფილო 18 თებერვლის კრების დადგენილების ცნობის გარდა სამი ხირისა, შემდეგი ზასუხი მიიღო: ჩვენ მკვირვალნი 18 თებერვლის კრების დადგენილებათა გაუქმება; ბლადონი ნიკო რამიშვილიდან მოკვივიდა კაცი და გვთხოვა: კარგი საქმეების დადგენა გვიხდა და ხელი მოაწერეთ და ჩვენც ხელი მოგაწერეთ, მეტი კი არაფერი ვიცოდითო. ამის წინააღმდეგ მამა ნიკომ ვერაფერი ვერ თქვა; ის მხოლოდ იმით იმართლებდა თავს, რომ მორიგ კრებაზე მისთვის, როგორც უფილის საბჭოს თავმჯდომარისთვის, კრებას მაყუდური გამოუცხადებია; თვითონ კი კრებას ვერ დაესწრო თავის დროზე და ამიტომ თავის გამართლებაც ვერ მოახერხა; ამასთანავე დაუბნებთ თხოულობდა მოხსენების განჩევას, რაზედაც კრება დაეთანხმა. ვერც ერთი მოხსენების მუხლის დაცვა ვერ შესძლო მ. ნიკომ და ამიტომ ეს მოხსენება უფურადლებოთ დატოვებულ იქნა კრებისაგან. შემდეგ თავმჯდომარემ წაითხა სამი ხირისგან განცხადება იმის შესახებ, რომ იგინი ეგულა-ფერში გამოყოფილი არაინ 18 თებ. მორიგი კრების და თუ ხელი მოხსენეს ხელმეორეთ კრების დანიშვნის შესახებ განცხადებას, ამაში მოტყუებული არაინ ბლადონი ნიკოსაგან, რომელმაც მათ არ გააკებია განცხადების შინაარსი. გამოირკვა, რომ მ. ნიკო არჩიებდა სოფელში თავის ძმას განცხადებით და ხელს აწერინებდა უფრო იმით, ვისაც კითხვა არ შეეძლო. კრებამ სამხელ დაშინავეთ სცნო მამა ნიკო ხალხის მოტყუებისთვის და ზოგიერთებმა აღძრეს კითხვისი წევრობიდან გამორიცხვის შესახებ.

შემდეგ წაითხულ აქნა განცხადება ბ. ირაკლი ივ. რამიშვილისაგან, რომელიც უშეკრი სიტყვებით ეხებოდა 18 თებერვლის მორიგ კრებას და „როგორც მხრუნველი ამხანაგობისა“ (თუმცა მხრუნველობისაგან გასულ წლიურ კრებაზე დათხოვნილ იქნა), წინადადებას იძლეოდა დანიშნულიყო „სრული და კანონიერი“ კრება ხელმეორეთ. ამ განცხადებამ სამხელათ ადელვაც ხალხი და გამოითქვა ის აზრი, რომ ბ. ირაკლი რამიშვილიც დათხოვნილ იქნეს წევრობიდან. უფერეს კენჭი ამ ხირს, ე. ი. ირაკლი ივ. რამიშვილს და ბლ. ნიკო რამიშვილს და ზირველი 46 შავი კენჭით — ცდა-ერთი თეთრის წინააღმდეგ და მეორე 51 შავით — 15 თეთრის წინააღმდეგ გამორიცხულ იქნეს ამხანაგობის წევრობიდან, როგორც მასარადებელნი ხირნი ამხანაგობისთვის.

ამგვართ გათავდა ეს კრება. ეს სურების შამ-გამსესებულ ამხანაგობის წევრთა მეორე კრებათ ითვლება ამ წელში და ორივემ ნათლათ გვანჩენა, თუ რამდენათ წინ წასულა ხალხი. წავიდა ის დრო, როდესაც სურებში თარეშობდენ მარტო ორი ხირი და საქმეც ისე მიუყვდათ, როგორც მათ უნდოდათ. ეხლაც კი ხალხი აქეუნს არ საჭიროებს; ის თვითონ უძღვება წინ თავის საქმეებს, უკვირდება ეგულა მოსამსახურე ხირების მოქმედებას და სამართლიან განჩენს ადგენს მათზე. მან, ე. ი. კრებამ დავთო ამხანაგობის საბჭო, რომლის თავმჯდომარეთ იყო მ. ნიკო — თვითნებობისთვის. აგრეთვე შენიშვნა მისცა 1902 წლის საბჭოს — ზარმაცობისთვის. სამკვიროთ მაღლობა გადაუნდა სარევიზიო კომისიას ამხანაგობის მინდობილობის სინიდიორათ ასრულებისთვის და კიდევ სხვა ხირებს, რომლებმაც ამხანაგობას რითიმე სასარგებლოთ მოუტყენს.

იმედია ახალი საბჭო უკეთ შესრულებს თავის მინდობილებას, ვინემ ამდენი ხნის საბჭოები; არ იქნება ისეთი ზარმაცი, როგორც იყო 1902 წლის საბჭო და არ მიითვისებს საზოგადოების უფლებებს, როგორც ეს ძველ საბჭოს სჩვეოდა..

ვინემ.

**საზურამო**. თფილისიდან საკურამოდის სულ ორიოდ ვერსია, მაგრამ უკლობის გამო ისეა მოწყვეტილი დედაქალაქს, რომ აქ ამოსვლაც ხშირათ უფრო ძნელი და ძვირი ჯდება, ვიდრე ქუთაის-

ში ან ბათუმში ჩასვლა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ავღრემში ისეთი საშინელი ტალახი დგება ავღრემ-საგურამოს გზაზე, რომ ჩვენებურ დარბაზულ ურემსა და კამეხებსაც კი უძლებდებოთ მიმსვლა. იქნება ამ მიუღვამლობის ბრალიც იყოს, რომ საგურამო გასაფრთხილები და გათახსირებულები, როგორც ქმნებრივით, აგრეთვე გონებრივით. ამოდენა მხარეში, სადაც 24 სოფელია, არ მოიძებნება არც სკოლა, კარდა წინამძღვრის კარის სამეურნეო სკოლისა, არც ბიბლიოთეკა, აფთიაქი და სხვა ამგვარი რამ, არ არის არც ექიმი, (ერთი ფერმალი კი გვეყავს მთელ საგურამოში), რის გამოც აქაური ავადმყოფი ან სულ უექიმოთ უნდა მოკვდეს, ან და ძალიან მდიდარი უნდა იყოს, რომ დუშეთიდან, ან თფილისიდან ექიმის მოწვევა შესძლეს და მისი ფეხის ქირა 20 მან.—30 მან. გადაიხადოს. ერთი სიტყვით, ამ დაფრთხილ მხარეში უკუღმურება დედს და გადმოდის.

როგორც ზევით მოვიხსენიე, მთელ საგურამოში ერთად ერთი წინამძღვრის კარის სკოლაა, მოსალოდნელი იყო, რომ ეს ერთი სასწავლებელი მაინც საკმარისი იქნებოდა საგურამოელი უმაწვლელებით, მაგრამ, სამწუხაროთ, სულ წინააღმდეგს ვხვდებით: საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულები უფრო ბევრი სწავლობენ, ვიდრე საგურამოელები!... თვით ს. წინამძღვრის კარიდან ბევრი უმაწვლეი არ დადის—მშობლები ამჯობინებენ იმათ შვილებს ხარისხიანი, ვიდრე წერაკითხვას და სხვა რამ საჭირო ცოდნა შეიძინონ. თუმცა იქ არა თუ ასწავლიან მუქათ, არამედ წიგნებს და სხვა სასწავლო ნივთებსაც უფასოთ ურიგებენ. თუ თვით ს. წინამძღვრის კარში ამისთანა ამბები ხდება, რა უნდა იყოს სხვა საგურამო სოფლებში? იქ კიდევ უარესობაა, რასაკვირველია. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ს. გურამის კარი, სადაც ას კომლამდის ხიზანი ცხოვრობს და თხილად ვერსით არის სკოლას მომარტებული. აი ამოდენა სოფლიდან დღეს არც ერთი უმაწვლეი არა სწავლობს სხენებულ სკოლაში. ეს კიდევ ცოტაა: აკერ ოცი წელიწადია სკოლა არსებობს და, როგორც გადმოვიტყვო, გურამის კარიდან აქ არც ერთი უმაწვლეი არ გამოჩნდილა, არც ერთს არ შეუსწავლია წერა-კითხვა!

სამწუხაროა ასეთი მოვლენა, მაგრამ საკვირველი კი არ არის, თუ შეათხველი მიიღებ მხედველობაში, რომ ს. გურამის კარში ზირწმინდათ ხიზანი გლეხები ცხოვრობენ და ამ ხიზნების ბატონ-ქალბატონები სულ სხვა აზრისანი ბანდებიან გლეხების სწავლის შესახებ. ზოგიერთები კიდევაც „ფილოსოფოსობენ“ გლეხობაში სწავლის გავრცელების შესახებ. აი ეს „ფილოსოფიები“: უსწავლელი და უწიგნო გლეხი უფრო მადლიერია თავის ბედისა და ამის გამო უფრო ბედნიერი, ვიდრე მწიგნობარი და შეგნებულია. ასე ზატრონობენ თავიანთ ხიზნებს ზოგიერთი ბატონ-ქალბატონები, ალბათ იმიტომ რომ გული შესტკივთ იმათთვის.

თხილად სიტყვაც აქაურ ხიზნებს. საქართველოს არც ერთ კუთხეში არ შეგულება ასე ბლემით თავმყოფილი ხიზნები, როგორც აქ არის! ოცდაათხ სოფელში, თითქმის ნახევარი—9 თუ 10—ხიზანია. მთელი საგურამო ხიზანთა ზატრონა სამეფო უფოილა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: აქაურ თავადაზნაურებს (გურამიშვილს, ხამშიაშვილს და სხვ.) შედარებით დიდადი მამულები აქვთ, უმები კი ძალიან ცოტა უფოთ. მამულებს შემუშავება სჭირდა და აი იმათაც თავიანთ მამულებზე დაუბინავებოთ სხვადასხვა წრის ხალხი—ხევსურები, ფშაველები, ოსები—მომეტყულებათ მითილნი, რომელთაც სხვებზე უფრო ძალიან უჭირდათ შიწა.

აქაური ხიზნების და სხვა გლეხების შესახებ უფრო დავწერო-ლებით ცნობებს შემდეგ მოვასხენებ შეათხველს.

ვამელი.

**რუსეთის ცხოვრება.**

გზათა მინისტრმა აუკრძალა კერძო რკინის გზის გამოკო-ბებს სათანადო მთავრობის ნებადართულად გზის განსაკრებლად და გასაძლიერებლად რამე ახალ ნაქმის დაწევა.

—ქ. ზეტერბურგში შემოდებული ტელეგრაფების გასაგნა-ნათ ახალი წეს-რიგი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ნება დაერთო ადგილის, შობისა და სახალწლო მისწავლა ტელე-გრაფების გამგზავნელთ, ამ ტელეგრაფების მარკებზე დაწესების შეს-ფოსტო უწყებებში ჩაატარებ, როგორც ახლა უბრალო წერილებს აგ-ზავნიან სოფლებში.

**ს ა ზ ლ ზ ა რ ზ ა რ მ ი.**

**საზრუნავი.** ბორჯომში სოციალისტთა ზარტამ კანგრესი მოახდინა. ამ კანგრესზე უნდა გადაეწვიოთ გამოთქმის თუ არა მიღწევის სოციალისტთა ზარტიდან? ასეთი კითხვა წარმოდგენილი იყო 25 დეკტემბრის სოციალისტთა ფედერაციისათვის. კარდა იმი-სა, რომ მიღწევის ბრალთ ედებოდა ბურჟუაზიულ სამინისტროში მონაწილეობის მიღება, მის დანაშაულთ უთვლიან აგრეთვე: მხარის დაჭრას აღმოსავლეთ კათოლიკეთა მისიებისთვის სუბსიდიის გამო-ღებისთვის, მიღწევისაგან ადრე კითხვა იმის წინააღმდეგ ბრძოლა-რის ავტორის დასასჯელათ, მანვე არ მიიღო მონაწილეობა სავრთა-შორისო სამედიცინო სასამართლოთა დაწესების კითხვის გადაწყვე-ტაში. მიღწევის დასჯელათ კანგრესზე ჟორესი გამოვიდა:

ჟორესმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა: „თქვენი პოლიტიკა — მიმართა მილიონის ორატორმა—მეტად ზერეულია. დასის ზრთ-გზაში მხოლოდ იმსასტოვებთ, რის განხორციელებაც სავტოდა-რას. ამგვარად თქვენ ორ ნაწილად ჰყოფთ ზრთგზას, და ის ნაწი-ლი, რომელსაც თქვენ უფროდებოთ სტოვებთ, რადგან, თქვენის აზრით, საგურამოსის არა წარმოდგენს, მუდამ განხორციელებლად რჩება. აი, სწორედ ეს გარემოება მიმანია სასიოთათოდ. (მოწონება). მიღწევის კლერიკალთა მოპირდაპირედ დარჩა, მაგრამ მათ საწინააღმ-დეგო მანიფესტაციებში მონაწილეობაზე კი უარი სთქვა, რადგან, მისის აზრით, მეტად უბრალო და შეუფერებელი იყო ოცი. ხანდახან თვით უკიდურესნიც კი ჩვენს შორის იძულებულნი ხდებიან სარწმუნო-ებათა ბიუჯეტს კენჭი ჩამოუტარონ, რის რეაქციონერთა ოინები ჩა-ჰფეშონ. მხოლოდ თუ მიღწევის წინააღმდეგი იყო, რომ სარწმუნო-ებათა ბიუჯეტის გასაუქმებლად კენჭი ჩამოეტარებინათ, ეს სულ სხვა მიზეზით მოიმტქმედა, როგორც თვით განცხადა, იმიტომ მო-იქცა ასე, რომ ამ წინადადების სასარგებლოდ ხმის მიცემა უმინებე-ლო მანიფესტაციად მიანდა. არა, იგი არ იყო უმინებელი, ზირ-იქით აუცილებლად სჭირდა იყო ხმის ჩამოტარება, რათა მოკვანები-ნა მთავრობისთვის, რომ ეს საკითხი ჟორ კიდევ გამოურკვეველია. კარდა ამისა, იმ მანიფესტაციით ჩვენ გავამხევეთ და წელი მოვამა-გრებინეთ მთავრობას. რომ ეს მართლაც ასე იყო, იქიდგანაც ცხადდ-დამტკიცდა, რომ სენატში კომისის განცხადების შემდეგ 80 რესპუბ-ლიკელი წინააღმდეგ სარწმუნოებათა ბიუჯეტს. ამ განცხადებამ განა-მტკიცა მინისტრ-პრეზიდენტის ტეზისი. მაშინვე სენატროთა უმრავ-ლესობამ დაადგინა,—კომისის სიტყვა გაუკრათ და ქვეყნის გაყარო-თ. აი, იმიტომ, რომ მთავრობისთვის სასარგებლოა იმ დასის და-ხმარება, რომლის მოთხოვნილებანი აღემატება ზირკულისას. დიად, ამგვარი მანიფესტაციები უნაყოფოდ არადღეს არ ჩაივლის სოფლებში“. მაგრამ დასასრულ ჟორესმა მაინც ის აზრი გამოთქვა, რომ მიღე-რის გამოთქმის სოციალისტთა დასიდან დიდი უსამართლობა იქნებოდა, რადგან ეს საზიზღარი „სექტანტური“ საქციელი იქნებო-და. „უმთავრესი ბრალი მიღწევის მიერ ჩადენილ ზოგიერთ საქ-მეთა გამო, — სთქვა ჟორესმა—უფრო, მათ ედებოთ, რომელნიც ამ კაცს მოსვენებას არ აძლევენ და სუვერენებით ავსებენ სწორედ მამი, როცა იგი გამოდებოთ მუშაობდა და ბოჯონ ხალხისთვის ზრუნავდა“. დასასრულ ეს საკითხი გადაეცა მუშათ, 38 წარმომადგე-ნელს, რომელთა უმრავლესობა მიღწევის წინააღმდეგი აღმოჩნდა; მაგრამ კანგრესის საერთო ურჩობაზე, თანხმად ჟორესის რეზო-ლიუციისა, მიღწევის დატოვებულ იქმნა სოციალისტთა დასი 109

ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 89-ს. სანამ კენჭს ჩამატარებდნენ, მიღწერანმა სიტყვა წარმოსთქვი და კაცსადა, — ამიერიდან სოციალისტთა პრინციპების განხორციელებას დასის სანარკომენტო ჯგუფის განდევნილებას დაუწყებდებარებო

სამის დღის კამათის შემდეგ კონგრესმა დაადგინა არ გამორიცხას მიღწერანი სოციალისტთა პარტიიდან,

**ოსმალეთი.** ოსმალები მაინც არა სცნობენ. რეგულარული ტყვეობები იწყებენ ყოველ კვირა ხდება შეტაკება ჯარსა და მუამბახეთს შორის. თვით სულთანის სულის განწყობილობის შესახებაც სხვადასხვა ხმებია. ამბობენ ესეა ის უკვე დამშვიდებულია, რადგან დარწმუნებულია, რომ მაკედონიაში გაგზავნილი ჯარი ალბანელებს დაამშვიდებს. ოთხიდან ურეგულარული ეს არა სჯერათ. რადგან ოსმალებს არ შეუძლიან დიდხანს შეინახოს გამაწყველი 30 ათასი სათადარიგო ჯარი, კარდა 95 ათასი მუდმივი ჯარისა, რომელიც რუმელიაში უყენია; გამოიყვანს თუ არა მთავრობა მეტ ჯარს მაკედონიიდან ალბანელები კვლავ ამხედრდებიან. კარდა ამისა სულთანს დიდად შეწუხებულია რუსეთის ელჩის შჩერბინას მოკვლის გამო, რადგან ამ შემთხვევამ რუსეთის და ოსმალების ურთიერთობა შეარყია. იმასაც ამბობენ, რომ ზინოვიევი მისხვედრა ოსმალების სსახლე, რომ მალე რუსეთი წარუდგენს მათ განსაკუთრებულ პირობებს.

ოსმალებისთვის შჩერბინას მოკვლის გამო რუსეთს უკვე წარუდგენია შემდეგი მოთხოვნანი: ოსმალებმა უნდა გადაუხადოს მოკვლის სხადობას 120,000 ფრანკი, გაგზავნოს ძველ სერბიაში 26,000 ჯარის კაცი ალბანელთა დასამშვიდებლათ. და ოსმალების ხარჯით ააშენონ მართლმადიდებელთა ხიში იმ ადგილას, სადაც შჩერბინა მოკვლეს.

უსკუბოში უკვე მიუყვანიათ შჩერბინას მკვლელები იბრაჰიმი, რომელიც უნდა სიკვდილით დასაჯონ.

## ცხოვრება

(გ. კირიაკოვისა).

— არა, არ შემოძლია... არ მიხერხდება ამ წყველი თვალების გამოხატვა!

და ბაროზდინმა განრისხებით გაისროლა სამხატვრო კალამი სახელოსნოს კუთხეში და ღონემიხდილი ჩაეშვა სავარძელში მოღებრტის ზურგშექცევით.

ნიდაყვზე დაყრდნობილმა პაპიროსი მოსწია და ფანჯარაში უაზროთ ცქერა დაიწყო.

გაზაფხულის საღამო იყო; ქუჩა ნელნელა ეხვეოდა სიბნელის წყვილიაღში. ცივ, დაბურულ ციდან ცვიოდენ თოვლის ფერფლები. ისინი უთავბოლოთ ირეოდენ მძიმე, ნოტიო პაერში და თითქო უნებურათ ეცემოდენ მიწაზე, სადაც აღამიანები მაშინვე ტალახში ურევდენ.

ბაროზდინი ხედავდა სიცივისაგან მოკრუნჩხულ აღამიანებს, რომლებიც ხან გამოჩნდებოდენ და ხან ისევ მიიმალებოდენ. ვეება, ხუთსართულიან რომელიდაც დეპარტამენტის შენობიდან ისინი ეჩვენებოდა ბაროზდინს კაცუნებათ, არარაებათ, საბარალოებათ. ეს აღამიანები შეიძლებოდა მიგელოთ მოძრავ აჩრდილებათ, რომლებიც ტყვილა-უბრალოთ ცდილობდენ თავი დაახწიონ გარშემორტყმულ სიბნელეს.

— ნუთუ მართლა ვერ შევძლებ შევქმნა ეს თვალების გამომეტყველება? სასოწარკვეთილებით ეკითხებოდა ბაროზდინი თავის თავს.

— დიახ, შევქმნი, რადგანაც ეგრეთი „რთული“ შესახედაობა ბუნებაში არც კი მოიპოვება.

იმან უნებურათ მოიბრუნა პირი მოღებრტისაკენ და დაკვირვებით დააცქერდა სურათს.

— მართლაც რომ საუცხოვო მოგონებაა, — ფიქრობდა ის და კმაყოფილებით ათვლიერებდა თავის ნაწარმოებს. — ეს ბნელი ფონი ცოტათი განათებული უკანა მხარეზე ნათლათ არ გვითითებს ცხოვრების საიდუმლოებას, რომელიც ნელნელა იხსნება ჩვენ წინ? და თვითონ „ცხოვრების“ სურათი?... ეს ახალგაზდა, ძლიერი, მეტათ მშვენიერი ქალის ტანი, ეს ხომ ცოცხალია, ეს ხომ თვით მოძრაობაა, შეჩერებული მხოლოდ ერთი წუთით, თვით ცხოვრებაა — მუდამ მომცინარი, მუდამ ახალგაზდა, რომელიც თავისკენ იზიდავს ყოველივეს... დიახ, კარგია... ისიც მართალია, რომ „ცხოვრებას“ სრულიადაც ვერ აკრთობს სიკვდილი, რომელიც მისი მხრის უკანიდან გამოიყურება... „ცხოვრებამ“ თვითონ შეაქცია მას ზურგი, რომ არ დაინახოს მისი გამხმარი სახე, ჩაცვივნილი თვალეები და დაკრეკილი კბილები. ის თითქო არც კი გრძობს მის ცივ ძვლიან ხელებს, რომლითაც სიკვდილი ჩაფრენია მას მსუქან მკლავში; არ ესმის მისი ფუჩუნნი: — ის, რასაკვირველია, აღსასრულზე უთითებს... მარა „ცხოვრება“ საამო ღიმილით თითქო უბასუხებს:

„მერე რა, რომ ყველა ცოცხალნი უნდა მოკვდენ, მათი ბედი შენ ხელშია?... ქრებიან მხოლოდ თვითოეული ნაპერწკლები, ჩემი კოცონი კი არასოდეს არ ჩაქრება.. შეხედე, განა ის არ ანთია დღესაც ისევ ისე ძლიერათ, როგორც ერთო მთელი ათასი საუკუნეების განმავლობაში? და ან განა არ იკმარებს ცეცხლი, რომ კიდევ ერთოს უთვალავი საუკუნეები? სიკვდილი, უმოძრაობა, — ეს ბუნებრივი დასკვნაა მოძრაობის, და ის ვერ შეაშინებს იმას, ვისაც ბევრი უცოცხლია-უმოძრაოა. ჩემმა ნაპერწკალმა, გოზგუზა ცეცხლათ გადაქცეულმა დასაბამი მისცა მრავალ სხვა ნაპერწკლებს, შეასრულა თავისი ვალი. ახლა ის ქრებანელა, უტანჯველათ, დარწმუნებული, რომ შთამომავლობა დაუცხრომლათ განაგრძობს მის საქმეს.

— დიახ, ეს მოხდენილათ გამოხატულია, — კმაყოფილებით დაასკვნა თავისი ფიქრები ბაროზდინმა.

— ეს ვეებერთელა ძლიერი კოცონიც „ცხოვრების“ ფერხთა წინაშე მეტათ ეფექტიანია. სურათი უსათუოთ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს... მარა თავი და თავი მაინც თვალეობა; თვალეობი უნდა გამოკრთოდეს ცხოვრების აზრი, თვით ჩემი იდეა... ისინი ისე უნდა დაეხატო, რომ ვინც შეხედოს, სთქვას: „მართლაც ამ თვალეებიდან თვით ცხოვრება იყურება, ცოცხალი ცხოვრება... ისინი გამოსთქვამენ სუყველაფერს, რაც ცხოვრებაშია“...

და ბაროზდინი კიდევ უფრო დააშტერდა თვალეებს. მათი გამომეტყველება არ აკმაყოფილებდა მას.

სიბნელე თანდათან ძლიერდებოდა სახელოსნოში. თამბაქოს ბოლი მოძრავ ტალეებივით გარს ეხვეოდა სურათს. უცებ ბაროზდინს მოეჩვენა, რომ მისი შექმნილი სურათი ტილოს შორდება. ეს კი გამოუთქმელ სიამოვნებას გვრიდა მას. ამ სანახაობისაგან მოხიბლულს მას მხოლოდ სურდა, რომ მალე არ გამქრალიყო ეს ილიუზია. „ცხოვრება“ კი ნელნელა, თითქო ეძნელება გარშემორტყმული სიბნელის მიტოვებაო, შორდებოდა ტილოს... შემდეგ ერთბაშათ გაიწია, მოსწყდა და სასიამოვნო რხევით მიცურდა სავარძელთან.

— ახ, თვალეები... თვალეები... მიჩვენე, როგორი თვალეები გაქვს შენ? შესძანა ბაროზდინმა და კიდევ უფრო დაკვირვებით ჩააცქერდა „ცხოვრებას“ თვალეობი.

„ცხოვრება“ იღიმებოდა; მისი თვალეების გამომეტყველება მუდამ იცვლებოდა, — ის იყო ცოცხალი, მეტათ „რთული“ თვალეები.

— მითხარა, როგორ უნდა გამოვხატო მე ისინი?... ხომ ყველაფერი უნდა იხატებოდეს მათში! შენ ხომ წინააღმდეგობებითა ხარ სავსე... განცხრომა და ტანჯვა-ვაება, სიყვარული და სიძულვილი, სიმატლე და სიცრუე, კეთილი და ბოროტი, ჭკუა და უჭკუობა... როგორ, როგორ შევიძლო მე ამ წინააღმდეგობათა ახსნა-განმარტება?... რატომ შეგვბოქვ ჩვენ, ადამიანები, ამ ჯაჭვით და მთელი საუკუნეები გვიტყერ ხუნდებში?... შენ გეცინება? მარა რატომ და ვისზე? შენ გველაპარაკები ამოცანებით და დაგვცინი კიდეც, თუ ვერ შევძლეთ იმათი ახსნა... რაშია შენი აზრი? სად ვეძიოთ ის...?

— უბედურო კაცო! ღიმილით უთხრა „ცხოვრება“, მარა ბაროზდინს მოეჩვენა, რომ იმის თვალგზი სიბრალული იხატებოდა, რათ მდებ მე ბრალს, როცა ყველაფერში მართო შენვე ხარ დამნაშავე, რად მაყვდობი, როცა უნდა მიმადლოდე?... მე ვიცი, რომ შენ ამას შერები შენი თავისავე გასამართლებლათ საკუთარი სინილისის წინაშე.. მშიშარავ! გეშინია განა ტანჯვის იმ წინააღმდეგობათაგან, რომ ლევიც შენვე შექმენი? დიახ, მე კი არა, თვით შენ გასქედეს წინააღმდეგობათა ჯაჭვი და ებთქები ახლა შიგ, როგორც მონა, რადგან კისერსა გხეხავს... მე არა ვარ არც სიყვარული და არც სიძულვილი, არც სიმატლე და არც სიცრუე, არც კეთილი და არც ბოროტი, არც ჭკუა და არც უჭკუობა... მე არა მაქვს ტანჯვა-წვალება, მაქვს მხოლოდ სიამოვნება და ამ სიამოვნებას ქვია—ცხოვრება... მე მოგეცით თქვენ ცა და დედამიწა, მზე და ჰაერი, დღე და ღამე, დაგყავით სქესებათ, შთაგინერგეთ გონებრივი მისწრაფება და მოგეცით სამფლობელოთ მთელი ბუნება,.. და ყველა ეს იმიტომ, რომ სავსებით გეგრძნოთ სიამოვნება და კმაყოფილი ყოფილიყავით ჩემით. რა უყავით, როგორ მოიხმარეთ თქვენ ჩემი ნაბოძები? თქვენ დაასახლეთ ცა და დედამიწა მოჩვენებებით და დაემონეთ მათ. მონებო სულით, თქვენ ისწრაფვით ყველანი და ყველაფერი მონებათ გარხადოთ. გაუმაძღარნო, თქვენ დაიყვეით მიწა და მისი სიმდიდრე, და რომ შეგეძლოთ, გაყოფდით ცას და ჰაერსაც. თქვენ გინდათ იყოთ უკვდავნი და უმოწყალოთ კი სრესთ ერთმა ნეთს. თქვენ ეძებთ სიმატლეს და სიცრუის მორევი კი ცურავთ... საბრალო მონებო!.. შეუგნებლობა და თავშეუკავებელი მისწრაფება სიამოვნებისაკენ—აი სათავე თქვენი უბედურობისა!..

„ცხოვრების“ თვალები ზიზღით აენტენ.

— დაიცა, შენ ეწინააღმდეგები შენს თავს,—უთხრა ბაროზდინმა,—ხომ შენ შთაგინერგე მისწრაფება სიამოვნებისაკენ... შენ მოგვეცი შეძლება მივახწიოთ სრულ ცხოვრებას... მაშასადამე, აქედან წარმოსდგება ჩვენი თავშეუკავებელი მისწრაფებაც დაუსრულებელ სიამოვნებისაკენ...

— რას უწოდებ შენ სრულ ცხოვრებას, სრულ სიამოვნებას?... ფუსფუსებთ ერთ ნაკუწ მიწაზე, ღამეს ათევთ ვიწრო და ბინძურ ქობინებში, გამოილეშებით ველურსავით, გამოთვრებით გასულელებამდის, ერთობით ხელოვნურ გასართობებით და სურათებით, მუდამ ცრუობთ, უფროსებს ელაქუცებით და უნცროსებს კი იჯაბნებთ, ახრჩობთ.. ნუ თუ ყველა ამას ეწოდება სრული სიცოცხლე, სრული სიამოვნება?...

ბოროტი ირონიული ღიმილი გამოკრთა „ცხოვრების“ თვალებიდან.

— და ეს მაშინ, როცა გარშემო უხვათაა მობნეული ჩემი სიმდიდრე... როცა გარშემო ბევრია ადგილი, ჰაერი, მზე, ბევრია ნოყიერი საკმელი და ანკარა წყალი, ბევრია საკვირ-

ველი ჰანგები და სურათები... სულელებო, რათ ვერ გავიგიათ, რომ თქვენვე, ხართ მიზეზი თქვენი უბედურობისა... თქვენ ხართ დამნაშავე. რომ ტანჯვით იხატებოთ ცხოვრებით და ტანჯვაში კვდებით!—ამბობდა უბედურობა და მის თვალგზი იხატებოდა სამდურავი, ზიზღი და სიბრალული.

ბაროზდინს მოეჩვენა, რომ სიკვდილიც კვერს უკრავდა „ცხოვრებას“ თავის დაქვევით და ირონიული ღიმილით.

— შენ მართალი ხარ, რასაკვირველია, მარა ყველაფერში კი არა, უთხრა ბაროზდინმა.— მართალია შენი გამოცნობის ძიებაში ჩვენ ბევრი მოჩვენებები შევქმენით და დავემონეთ, მარა საშაგიეროთ ახლა ვებრძვიან და ნელნელა ვთავისუფლებით იმათ გავლენისაგან... ჩვენ ვისწრაფვით სამართლიანობისაკენ... მაინც შენვე ხარ დამნაშავე, რომ ამდენ ხანს ვერ მივაგენით ჩვენ სწორ გზას ქეშმარიტებისაკენ... შენ ჩაგყვარე ჩვენ, უძლური ადამიანები, ბრძოლის მორევი; ჩვენ გარშემო კი ყველაფერი დიადი, ძლიერი და საიდუმლოებით აღსავსე იყო და რაღა გასაკვირველია, რომ უნებურათ მოგვედრიკა მუხლი იმათ წინაშე და კერპებათ გავგვხანდა...


— კმარა!.. შენი ბრალდება ზიზღსა მგერის მე... სიცრუე და ჩივილი—ეს მონების თვისებაა!.. თქვენ გამოდით ბრძოლის ველზე ბევრათ უფრო შეიარაღებულები, ვიდრე სხვა ცხოველები. მე მოგეცი თქვენ ს მი ძლიერი საბრძოლველი იარაღი. ეს იარაღებია: საზოგადოებრივი ინსტინქტი, გონება და ნება. პირველი უნდა დაგხმარებოდა თქვენ შეერთებაში, როგორც ძმებს, უნდა შეგედგინათ ერთი მთელი და ძლიერი საზოგადოება. მეორე და მესამის დახმარებით კი თქვენ ისე უნდა მოგეწყოთ ეს საზოგადოება, რომ ყველანი ერთგვარათ ბედნიერნი ყოფილიყავით... როგორღა გამოიყენეთ თქვენ ეს იარაღები? თქვენ დაჩლიუნგეთ ისინი და ახლა კი მოთქვამთ თავის უძლურებას. თქვენ შეერთდით ერთათ, მაგრამ არა როგორც თავისუფალი ხალხი, არამედ როგორც მონები. თქვენში ერთი მონები ბრძანებლობენ, მეორენი კი მორჩილებენ. თქვენ, როგორც მონები, შეპყრობილი ხართ მუდმივი შიშით და მუდამ ებრძვით ერთი მეორეს, თქვენს კვება-გონებას ავარჯიშებთ სხვადასხვა სისხლისმღვრელი იარაღების მოგონებაში, რომლებითაც სიცოცხლეს უსპობთ თქვენსავე ძმებს, და ულმობელ მტარვალებს კი, რომლებიც სპობენ სიცოცხლეს, აქრობენ ჩემ კოცონს—დიდებულ ადამიანებათ სახავთ, მუხლს იდრეკთ იმათ წინაშე და ლოცულობთ მათზე. როგორც მონებმა, თქვენ უარყავით საკუთარი ნება და უპირველეს სათნოებათ მორჩილება დაისახეთ... სილატაკე, შიმშილობა, სნეულობა და სიკვდილი—აი თქვენი განუშორებელი თანამგზავრები!.. შენ ლაპარაკობ სამართლიანობაზე?... მარა, ნუთუ არ იცი შენ უგუნურო, რომ სამართლიანობა შესაძლებელია მხოლოდ თანასწორათ თავისუფალთა და თანასწორათ ძლიერთა შორის... მონებსა და ბატონებს შუა სამართლიანობას ადგილი არა აქვს!..

და „ცხოვრების“ თვალები გახდენ ცივი და ბასრი, როგორც ფოლადი.

— შენ მკაცრი ხარ, „ცხოვრებავ“, და... და უსამართლოც ჩვენთან, ადამიანებთან,—უთხრა ბაროზდინმა.—განა შენ არ იცი, რომ ჩვენი გონება იგონებდა არა მარტო სიცოცხლის მსპობ იარაღებს?... მართალია, ის დიდხანს იყო მაგ მრუდე გზაზე, მარა ახლა... ახლა კი არ ვთვლით მტარვალებს დიდებულებათ. ახლა ისინი მიგვაჩნია დიდებულ ადამიანებათ, ვინც დაგვეხმარა ბუნების მრისხანე ძალთა დაწყობაში და შეძლება მოგვეცა ჩვენდა სასარგებლოთ გამოგვეყენებია; ისინი ვინც ნათელი თვალით შეხედა სამყაროს,







მარტო-მარტო მინდორში გატიტვლებული ალვის ხე და გულ-ვასაგმირათ ხმაურობს. უცბათ მოისმის რაღაც შესაშინებელი, აღმაშფოთებელი ხმაურობა... აყუდებულა მინდორში ალვის ხის დამსხვრეული ტანი, ქარიშხალი კი მაინც თავის ერთხელვე ამორჩეულ გზას დასდგომია და სულ მიქრის და მიქრის...

კიდევ შორიდან მოისმის ფოთლების ფუჩუნნი თბილ ცის და შობებელ ალვის ხესთან დაბრუნების შესახებ, მაგრამ მათი ფუჩუნნი ფუჩუნათ რჩება—ქარიშხალი კი მაინც თავისას არ იშლის, კლდე-ღრეს ეტაკება, მთელ არე-მარეს ანძრევს და ყოველიფერზე თავის ძლიერების დაღს, ბეჭედს ასვამს!...

სვირსკანდელი

\* \* \*

ღამეა შშვიდი. მედიდური მთვარე დასცურავს, მთის ნაქვთებშიაც სხივებს ისერას, ჩრდილოსა სწურავს, იერუსალიმს დასტრიალებს ვით ყარაული, თითქოს საუნჯე მისი იყოს იქ დამარხული. გეთსიმანიით აიტაცა ნიავეა ვარდი და დახავსებულ ციხის ბურჯზე იწყო ნავარდი! ფოთოლი ფოთოლს ხან შორდება ხან უტყლაშუნებს ძირს ნაკადული ჩაწკრილებს, ტალღებს აშურებს!

სძინავს ქალაქსა. მხოლოდ დიდსა სინალოლაში ფარისეველები ბქობენ ცხარეთ, გააქვთ განგაში, წინ გადუშლიათ კანონები და ძველი რჯული, რომ ნაზარეველს გაუგმირონ ლახვართ გული. „ეს ცოტა არი, გადასწყვიტა უცებ კრებაში, უნდა აკენესოს სიკვდილამდე ის წამებამა!“ და ჰა, გვირგვინი, ეკლის რგოლი, შემოიტანეს, ფარსეველებმა გულიანათ გადინარხარეს: „ეს ერის მოძღვარს? ერისათვის თავდადებულსო, საჩუქარია, მოუხდება მის სპეტაკ შუბლსო!“ ყველა შინჯავდა ხელით ხელში გადადიოდა. ამ დროს კი ქრისტე გეთსიმანის ბაღს აღიოდა. ეთხოვებოდა თვის ლოცვაში იერუსალიმს, ხედავდა სურათს მის ხავსიან ბქეთა დანგრევის, რომ მოვა დროვო და ქვა ქვაზე აღარ იქნება, მის ნანგრევებზე სიყვარული აღიმართება!

ღამეა შშვიდი. მედიდური მთვარე დასცურავს, მთის ნაქვთებშიაც სხივებს ისერის, ჩრდილოსა სწურავს! იერუსალიმს დასტრიალებს ვით ყარაული, თითქოს საუნჯე მისი იყოს იქ დამარხული!

ი. ველოშვილი.

### ს ა მ შ მ ბ ლ ო ს ქ ა ზ ე .

მეც ისეთივე მემკვიდრე ვარ მამა აღამისა, როგორც კაენი, მეც, მეტი თუ არა, ისეთივე უფლება უნდა მქონდეს ცოდვილ დედამიწაზე ცხოვრებისა, როგორც მასა, მარა, შენ არ მომიკვდე, „право на елѣдства“ ვეღარა მშველის და აწი იძულებული ვარ მოვკურცხო ისევ ცის კიდურისაკენ. მართალია მთვარეს ხმელეთზედაც აკეთებენ, სახელდობრ „ივერის“ რედაქციაში, სხივებს ხმელეთზედაც სქვდავენ, სახელდობრ „სნ. ფურც.“-ში და ღრუბელი ხო თვით „მოგზაურის“ თვალებიდან წარმომდინარეობს, მარა მაინც მეორე ცის

ძებნა მიხდება და ისევ და ისევ იქიდან გაუმართავ ბაასა ძირს მოცემციმე ვარსკვლავებს.

მაშ ისევ იქით, ჩემო შავარდენო, ისევ „საქართველოს დემოკრატიული პარტია“ ვუგზავნოთ მათ ეპისტოლე.

\* \* \*

უპირველესათ კი მე მსურს „ივერის“ პლებსს ვუთხრა სამძიმარი. ეს ჯერ ერთი რო ქართული ჩვეულების შესრულება იქნება და მეორეც პლებსისთვის სანუგეშო, სასალბუნო და გულსაოხი; ვინაიდგან ეს მამულიშვილი მეტისმეტათ შეწუხებულა აღდგომის დიდ შაბათს. საგანი შეწუხებისა, რასაკვირველია, საქართველო იქნებოდა. და აი სწორეთ საადგომო „ივერის“ ნომერში აწყულია პლებსის ცრემლები. ის, ე. ი. ბ-ნი პლებსი, ჩამჯდარა კონკაში „თამამშოვის ქარვასლიდან მუშტაიდამდე“. შეხვედრია მგზავრი ვილაც ახალგაზდა ქართველივე და აი აქ, სწორეთ ამ რობის საპარლამენტო სკამებზე გადაწყვეტილა „ბედი ქართლისა“. უტირნია ახალგაზდა კაცს: აღარა ვართ ქართველები და აღარც ვიქნებითო, მიჰყოლია პლებსი და ღუეტი გათავებულა სწორეთ მუშტაიდათ, სადაც პლებსს მიუმაართავს სანუგეშოთ მტკვრისათვის. მტკვარი აღიდებული და აზვირთებული დახვედრია, გახარებია პლებსს, ვინაიდგან აქ რაღაც სასწაულთმოქმედების ნიშნები დაუნახავს და უცმაწვილკაცოთ გადაუწყვეტია: არა და არა, რომ ქართველის მაჯა ისევ დაპკრავს, რომ ჩვენ, ჩვენ ისევ დავდგებით თუ ფეხზე არა, მუხლებზე მაინცო, ამის საბუთი თვით მტკვარის აღიდებააო. ხოლო მის თვალებს კვლავ მორგეია ცრემლები, როდესაც მუშტაიდიდან დაბრუნებულა. აქ თურმე დახვდა ქუჩა, რომელზედაც, როგორც თვით პლებსი, ხალხი მიდი-მოდიოდა, ფაცურობდა, ყველა თვის საქმეს ეშურებოდა, ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევდენ (იქნება პლებსსაც? ოხ, უგუნურებავ, უგუნურებავ!) ესეც ძველი ჩვეულების დაიწყება, გადაუწყვეტია „თამამშოვის ქარვასლიდან მუშტაიდამდე კონკით მოგზაურობის“ ავტორს და ამოსჯდომია გული. ხოლო მაინც არ წარკვეთილა სულით, ვინაიდგან სახლში მისულს დახვედრია ყოველივე სანოვანე საადგომო ტრავებისთვის. აი რამოტელა უწვალნია კაცს სამშობლოსთვის და მას კი ყურადღებას არ აქცევდენ მიხაილოვის ქუჩაზე.

გარდა ყოველივე ამისა პლებსს კონკაზე ზდანოვიჩიც მოგონებია. გესმით, სადამდე წასულა მისი სამშობლოს შვილობა! ჭიათურამდე და ისიც უკონკოთ გაფრენილა რამდენსამე წამში! დიახ, მოგონებია ზდანოვიჩი, რომელიც „მთელი ერთი თვე ჰგვემეს და ჯვარს აცვეს“, ხოლო იგივე წამებული, პლებსის სიტყვით, აღმდგარა მესამესა დღესა, ვინაიდგან „უზენაეს მეუფეს ზდანოვიჩისათვის ხუთი ქანქარი მიუცია“ და სხვებისთვის კი არაფერი. საქართველოს წამებულთა რიცხვს, როგორც ხედავთ, ერთი ქანქარიანი წმინდანი კიდევ მომატებია. და ამისი აღმოჩენაც მომხდარა კონკაზე პლებსის მიერ. ეს ამოტელა დარდი, სიმწუხარე, კვლავ დარდი და სიხარული სულ ნახევარი საათის განმავლობაში სამშობლოს გულისთვის მხოლოდ „ივერის“ მიერ ნაწოვენ შვილებს შეუძლიანთ და თუ გადარჩენილა ჩვენი პლებსი ამოტელა დარდისაგან მიხეილის ქუჩაზე შესაბრუნებელ „სტანციას“, ეს უნდა დაუმადლოთ სასწაულთმოქმედ მტკვარს, რომელიც აღიდებული დახვედრია კონკით მოგზაურს. მაღლობა შენდა, ნუგეშისმცემლო აღიდებული მტკვარო.

\* \* \*

„ივერია“ არამც თუ საქართველოსთვის ილოცავს, არამედ ჩვენც მოგვეშველება. ამას ეხლავე დაგანახვებთ: „სწო-

ბის ფურცელი“ 2115 №-ში გვიკვირებს, რომ „კვალის“ თანამშრომელს ბ-ნ ყვირილელს ვერ გამოუცვნიან ძველი თაობა, ვერ შეუღვნიან მათი მოღვაწეობა. ეს მაგდენათ არც ჩვენ ვიცით, რადგან: „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის ცხოვრება იმდენათ შეუსწავლელია, რომ მაშინდელ მოღვაწეობის საბოლოოთ, კატელორიულის გადაწყვეტით დაფასება ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია“. გულწრფელობა ერთი საუკეთესო ღირსებაა ადამიანისთვის და ამიტომ ჩვენც ვაქებთ „ცნობის ფურცლის“ აღსარებას თავის უფიცობაში, თუნდა „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარისაში“. მაგრამ უფიცობა კი ვერაფერი ქებაა იმ მწერლისათვის და გაზეთისათვის, რომელიც მოვალეა ქართველ საზოგადოებას გააცნოს თავისი წარსული.

მაგრამ პირველი ნახევრის უცოდინარი „ცნ. ფურც.-ის“ შეთაურის ავტორი მეორე ნახევრის ცნობასა და გამორკვევას იჩემებს. მესამოცე წლებში ჩვენი მოღვაწენი ერთობ თავდადებულნი ყოფილან განურჩევლათ წოდებისა ქართველებისთვის. აბა, „ივერია“, შენი ბიჭობა აქ გამოჩნდება აი! უთხარ, უთხარ, ამ ურწმუნო თომას, რომ სტყუის! უთხარ, რომ მას შემდეგ, რაც „ყაბახი ძიას წაერთო“, ისა სტიროდა მხოლოდ თავის თავს. ისა სტიროდა და დღესაც სტირის გარდაცვალებულ გახრწნილ გვამს. ის მოუნდა ამ ტირილს, დაიცალა ცრემლებით და ბევრიც რომ სდომებოდა ეტირნა შემდეგ ხალხისთვის, ეს შეუძლებელია იყო მისთვის.

ხოლო „ივერია“ კი მაინცდამაინც დღესაც განაგრძობს ამ გზას და დიდი შეურაცხყოფა იქნება მისთვის არ უთხარას „ცნ. ფურც.-ის, რომ

ძველები მამებს სტირდნენ  
ხალიჩაგამოცდილებსა,  
ადესდაც ბატონთ ხალხისას,  
ახლას კი გამოცდილებსა.  
მას დაჟვითინებ შენდა,  
ის არის ჩემი ტრფიალი,  
მიუვარს პირწმინდა ხანჯალი  
და ღვინით სავსე იფალი.  
მაგრამ სადღაა, წავიდა,  
გაქქრა დრო ნეტარებისა  
და, ვაი, მე ვარ მოწამე  
აწმულისთან შედარებისა!  
„ცნობის ფურცელად“, იკითხე  
ამბავი ჩემი მკვდრებისა,  
ხომ არეინ არის მხახველი  
ზაქიჭამიან გზებისა?  
უთხარით უკან დაბრუნდეს,  
მის კუჭებს ვენაცვალე,  
ბლამათ მას კოფეებოდა  
ჩვენთვის შემწვარი ზაქები.  
მუცელი ჩამოჭანარი გვაქვს,  
ცარიელი გვაქვს ტყავ-გუდა  
და ვსტირით, ვსტირით რაცხანი  
კიბუ თაუვირა აბრუნდა.

\* \*

როგორც „ცნ. ფურც.-ის სწერენ, დიდი შიში გამოუშველიათ ბათუმში ი. ზ. ანდრონიკაშვილის, გ. ი. ვოლსკის და ი. ს. მესხის კანდიდატურის მოტრფილეთ. მათ ალყა შემოორტყმიათ სამ მხრივ უცხოთაგან. საარჩევნო ყუთებზე მიუტანიათ იერიში რუსებს, სომხებს და ბერძნებს. ქართველები გამაგრებულან. ტკაც! ტკუც! და გათავებულა ბრძოლა: ქალაქის თავათ ისევ ი. ზ. ანდრონიკაშვილი, გამგეობის წევრათ ისევ ვოლსკი და მდივანათ ისევ მესხი. ერთი სიტყვით ისევ ძველი გამგეობა. მაშასადამე, ისევ ძველი გზით მავალი, ისევ ძველი ტიბიკონით მწირველი, ისევ ანდრონიკაშვილი „ხალხისა და სახმარებლათ“ თავდადებული გამგეობის სათავეში: ხოლო როგორი იქნება მომავალშიაც ეს „ხალხის დახმარება“, ამას იგივე მისი ძველი მოქმედება გვიწინასწარმეტყველებს. და ეს არც საჭიროა. ბრძოლა მათი იწყება საარჩევნო ყუთებთან, თავდება იქავე. მერე? მერე რჩები ხალხის დახმარებაზე. ესაა პირწყლიანი გამგეობა!

ამ არჩევნებზე არა ნაკლები სიგმირე გამოუჩენია ხმოსან ელიაფას. ის ნაწყენი ყოფილა ბ-ნ ვოლსკის მიერ, მაგრამ საქვეყნოთ თეთრი კენჭი მიუცია მისთვის. დაუხსნია სამშობლო განსაცდელისაგან. და მიმავალ წლის ხარჯთაღრიცხვაში შიშობენ არ დაავიწყდეს გამგეობას მისთვის განსაკუთრებული თანხა გადადონ მენდლების გამოსაქვდათ. ტაშით უკვე დაუჯილდოვებიათ. საქვეყნოთაც „ცნობ. ფურც.-ში“ მადლობას რბდიან გმირთა-გმირს. აკლია მხოლოდ მოსე ჯანაშვილს ისტორიაში შეიტანოს ეს ფრიად საგულისხმო ბრძოლა და ამბავი.

\* \*

ფოთში გაშფოთებულ ცეცხლს ბაზარი გადაუწვავს. ზარალი 3000 მანეთი მოსვლიათ. ცეცხლის ჩაქრობა გაძნელებულა, რადგან არა ქონია ქალაქს ცეცხლის ჩასაქრობი იარაღები. ქალაქის თავი ნიკოლაძე იღებს წელიწადში 6000 მანეთს ჯამაგირს, ამდენივე იხარჯება მის საზღვარგარეთ მოგზაურობაზე და ამაზე არა ნაკლები მის სასახლეზე, როდელიც გაამშვენიერა ქალაქმადე.

აბა გამოიცანით რამდენი მოაკლდებოდა ბ-ნ ნიკოლაძეს რომ ქალაქი ზრუნავდეს ცეცხლის ჩასაქრობ იარაღების შედენაზედაც?!

\* \*

კაი ბიჭები ყოფილან სუხუმშიაც. აქ ჰქონიათ საურთიერთო დამხმარებელი ბანკი. რომ უსტავი ღირექტორსა და მდივანს პირმტყცივთ შეესრულებინათ, ასე გადაუწყვეტიათ: შენ დამეხმარე მე, მე დავეხმარები შენ, და გამოვა ურთიერთის დამხმარებელი საზოგადოება. კარგი და პატიოსანი. 16 მარტს მოუხდენიათ კრება. ბანკის ხარჯთაღრიცხვის უყურადღებოთ დატოვების შემდეგ კრებისთვის წარუდგენიათ სმეტა: მოემატოს ღირექტორს ათი თუმნიდან ოც თუმნამდე და მდივანს 5-დან 10-დე, ე. ი. ორტყუპათ. ესეც ხელათ გადაწყვეტილა ფეხზე აღვამით. არც კენჭი, არც ყუთი. თუმცა ისე კამათში კი თურმე ბევრი წმუოდა არა სასარგებლოთ მდივან-ღირექტორისა.

ბანკის ანგარიშით კი სჩანს, რომ პირველ წელიწადს საზოგადოებას წმინდა მოგებიდან დარჩომია 15 მ. და 20 კ., მეორეს (1902 წ.)—ძლივს—ძლივობით 2000 მ.

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ საზოგადო კრებას უარი უთქვამს სოხუმის ბიბლიოთეკის დახმარებაზე, რომელიც თურმე არც ღირექტორია და არც მდივანი!

რიგოლეტო.

სისხლის სამართლის ახალი დებულება

სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია განსაკუთრებული კომისიისაგან შემუშავებული სისხლის სამართლის ახალი დებულების უმთავრესი ნაწილები.

ამ დებულებით სიკვდილით დაისჯებიან მხოლოდ უმძიმეს დანაშაულთა ჩამდენნი და სახელმწიფო წესწყობილების დარღვევის მსურველნი. თუ ქალმა ან მცირეწლოვანმა ჩაიდინა ამგვარი დანაშაული, სიკვდილით არ დაისჯება, არამედ მიესაჯება სამუდამოდ მადნებში მუშაობა. სიკვდილით ქალები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯებიან, თუ მათ ვნება რამ მისცეს ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლის და ტახტის მემკვიდრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თავისუფლებას, ან თუ მოიწადინეს ხელმწიფე იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდება, მისგან უმაღლეს უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა. თუ დანაშაულის შემამცირებელი რაიმე გარემოებანი იქნა ცნობილი, ახალი დებულებით დამნაშავეთ, შესაძლებელია, სიკვდილით დასჯა მადნებში მუშაობათ შეუტყვალონ, უვადოთ ან ვადით, 10—15 წლამდე.

მადნებში მუშაობის უგრძესი ვადა, ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევათა გარდა, 15 წელიწადი იქნება და არა 20 წელიწადი, როგორც აქამდის იყო. დამნაშავეთაგან ყველა უფლებათა ჩამორთმევა გაუქმებულია ახალი დებულებით. ამიერიდან წოდებრივ უფლებათა ჩამორთმევა ნიშნავს სამუდამოდ დაკარგავს წოდებრივ უფლებათა, აგრეთვე სამსახურში შედენილ უფლებათა და უპირატესობათა.

უფლებანი ჩამოერთმევათ ყველა წოდების პირთ, რომელთაც მიესაჯებათ სიკვდილით დასჯა, მადნებში მუშაობა ან ციმბირში დასასახლებლად გაგზავნა. უფლებანი ჩამოერთმევათ აზნაურთ, საზოგადოთ სასულიერო წოდების პირთ, საპატრიო მოქალაქეთა და ვაქართ, რომელთაც მიესაჯებათ გამასწორებელ საპატიმროში და სატუსალოში დამწყვედვა. სამსახურის უფლებანი ჩამოერთმევათ დამნაშავეთ, სანამ მათ სასჯელის ვადა არ შეუსრულდებათ და შესრულების შემდეგ 5—10 წლამდე დანიშნული ვადის ნახევარი რომ გაივლის, სასამართლოს შეუძლიან, შეამოკლოს დანარჩენი დრო, დამნაშავეთ თხოვნით, თუ ამ უკანასკნელთა ყოფაქცევა კეთილათ იქნა ცნობილი. ყველა დამნაშავეთ, რომელთაც მიესაჯებათ სიკვდილით დასჯა, მადნებში ან დასასახლებლად გაიზავნა, ჩამოერთმევათ ნათესაური დამოკიდებულებიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი, არ ექნებათ უფლება მიიღონ მემკვიდრეობა, მას შემდეგ, რაც განაჩენი სისრულეში იქნა შესული.

ახალი დებულებით საყურადღებოთ შემსუბუქდება იმ დამნაშავეთა სასჯელი, რომელთაც უმძიმესი დანაშაულობანი ჩაიდინეს.— შეიძლება ვადის შესრულებამდე გაანთავისუფლონ ისინი მადნებიდან, სამუდამოდ გაგზავნილი—15 წლის შემდეგ და ვადით გაგზავნილი—ამ ვადის 2/3 შესრულების შემდეგ, თუ მათი ყოფაქცევა კეთილი იქნა, შეიძლება გადაიყვანონ იმ ადგილებში, რომელნიც მათ დასასახლებლად იქნებიან დანიშნულნი.

მადნებიდან დასასახლებლად გადაყვანილნი ის პირნიც, რომელნიც დასასახლებლად იქნენ გაგზავნილნი, თუ მათი ყოფაქცევა კეთილი იყო, ათი წლის შემდეგ შეიძლება გაანთავისუფლონ დასახლებისაგან, აგრეთვე შეიძლება გაანთავისუფლონ გამასწორებელ საპატიმროში დამწყვედულნი ვადის 5/6 შესრულების შემდეგ.

სასამართლოს ნება ეძლევა დამნაშავეთ ცნობილს ჩაუთვალოს სასჯელში ის დრო, რომელიც მან დაჰყო გასამართლების წინ სატუსალოში გამასწორებელ საპატიმროში და ციხეში.

ახალი სისხლის სამართლის დებულების მიერ მიღებული სასჯელნი შემდეგნაირად:

- 1) სიკვდილით დასჯა.
  - 2) მადნებში მუშაობა უვადოთ ან ვადით 4—15 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი 20 წლით; ამ ვადის შემთხვევების შემდეგ დაუნაშავეს დასახლებენ განსაკუთრებულ ადგილებში.
  - 3) გადასახლება უვადოთ, რდმელიც დანიშნება სასჯელად მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში.
  - 4) გამასწორებელ სახლში დამწყვედვა 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—6 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი რვა წლამდე.
  - 5) ციხეში დამწყვედვა ორი კვირიდან 6 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში 8 წლამდე. ციხე ითვლება საპატიმროთა შორის საპატრიო ადგილათ და ამიტომაც შედარებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მიესაჯებათ დამნაშავეთ ციხეში დამწყვედვა.
  - 6) სატუსალოში დამწყვედვა ორი კვირიდან ერთ წლამდე, ზოგ შემთხვევაში კი ორ წლამდე.
  - 7) დატუსალება ერთი დღიდან 6 თვემდე, ზოგიერთ შემთხვევაში ერთ წლამდე.
  - 8) ფულით დაჯარიმება არა უმცირეს 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ. დანაშაულის შემამცირებელი გარემოებანი, ზოგიერთ შემთხვევათა გარდა, სისხლის სამართლის დებულებაში არაა აღიიშნული, იმათ ამორჩევაში სასამართლო არ არის შევიწროვებული. აგრეთვე ახალ დებულებაში არაა საზოგადოთ ჩამოთვლილი ის გარემოებანი, რომელნიც აძლიერებენ დანაშაულობას და მასთან საჩუქლსაც. დამნაშავეს მოეთხოვება გაძლიერებული პასუხისმგებლობა, თუ ამას სასამართლო დაინახავს საჭიროთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაინახავს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა ჩვეულებათ გადაქცევა ან ხელობათ აღრჩევა, აგრეთვე როცა საზოგადო დანაშაული ჩაიდინა მოხელემ, მოხელეებრივი ურთიერთობის დარღვევით, თავის უფლების ბოროტათ გამოყენებით და მორჩილების უარყოფით.
- დამნაშაულობის განმეორებაც ახალი დებულების ძალით მიღებულია დანაშაულობის გაძლიერებულ საბუთათ.

### ეურნალ ვაჭეთებიდან

„ვესტნიკ ევროპის“ მე-4-ის ში „საზოგადოებრივ ქრონიკის“ განყოფილებაში სხვათა შორის სწერია:

ლიბერალიზმი, — არა როგორც ჰარტის მოძღვრება, არამედ როგორც ჰარტისიული სურვილი და მისწრაფებანი საზოგადოებისა და ხალხის სხვადასხვა ელემენტებისა, — უკვდავია. სხვადასხვა დროს ის სხვადასხვა გვარათ იჩენს თავს, — ხან მძლავრათ, ხან სუსტათ, მაგრამ მისი სამუდამოთ მისხობა შეუძლებელია, სანამ მისი კეთილი აზრები და იდეები საქმედ არ იქცევიან და უფლას საკუთრებათ არ კანდებიან. უფლად შეუძლებელია ვითქვამთ, რომ ცრუთ თუ ბევრათ განვითარებული საზოგადოება არ მიისწრაფებოდეს სარწმუნოებისა, სიტყვისა და ჰარტების თავისუფლებისაკენ; უფლად შეუძლებელია ვითქვამთ, ვითმც საზოგადოებას შეუძლია გაქვადეს იმ ნაციონალიზმის ძველ ფორმებში, რომელსაც არაფერი ადარა სწამს სხვა ერისა, რომელიც არაფრათ აცდებს სხვების უფლებას და კეთილდღეობას. ხელს უწყობენ თუ არა თანამედროვე ჰარტები ლიბერალიზმის გაძლიერებას, ამას შესახებ შეიძლება სხვადასხვა აზრი ვიქვანით, — მაგრამ იმას ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ჰარტისიული იდეები ძალიან გავრცელებულ საზოგადოებას და ხალხში, რომ იმათი რიცხვი, ვინც აფასებს ლიბერალიზმის მნიშვნელობას, მეტათ გადაიდა. შეგნებული საზოგადოება დღითი დღე იზრდება; ის აღარ წარმოად-

გენს მატარა მიკროსკოპიულ ჯგუფს, რომელიც წვეთი იყო შეუკნებელ ხაღხის ზღვაში; ახლა ის დიდი ძალაა, რომელიც აერთებს ერის მრავალ სხვადასხვა ელემენტებს. ის, რაც წინათ მეტისმეტ მტრულ ჯგუფის ინტერესს შეადგენდა, ახლა ერის უმრავლესობის ინტერესათ შეიქმნა; ამ უმრავლესობამ მრავალსისიულო იდეები შეგნებულათ შეითვისა და დაისაკუთრა და არა შექანოურათ. ტრუილათ ცდილობენ ჩვენ რეაქციონერები შეაჩერონ ეს მოძრაობა და შეაფერხონ სასოგადოების განვითარება: ეს მოძრაობა და განვითარება უკვე ფაქტათ იქცა, რომელსაც გვერდს ვერაფერ ვერ აუხვევენ.

**ჭიათურის საზოგადოებრივი ნაწილის საზოგადოების კრება**

26 მარტს.

26 მარტს დანიშნული იყო საზოგადო კრება ჭიათურის ბანკისა, რომელიც შედგა კიდევაც. ეს კრება პირველი იყო ამ ბანკისა დაარსებიდან (ბანკი სულ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> წელიწადია რაც არსებობს). როგორ დაარსდა ეს ბანკი და რა პირობებში დაიწყო მოქმედება, ეს „კვალის“ მკითხველებმა კარგათ იციან და ამიტომ აღარ გავიმეორებთ. თუმცა ეს ბანკი ბ. ზდანოვიჩის სურვილის წინააღმდეგ დაარსდა, მაგრამ როცა საჭირო შეიქნა ღირებულების მონახვა, ზდანოვიჩმაც, არ გაუშვა შემთხვევა რომ ბანკში ღირებულებათ თავისი ხელქვეითები გაეყვანა, რომლებიც სამსახურს გაუწევდნ მას სხვა და სხვა საჭირო საქმეებში — გადინდა ფულის სუნი და როგორც ყველგან, აქაც ბ. თუმანოვებმა (მამა და შვილი) თავი ამოყვეს უცბათ ჭიათურაში, ვითომც ჭიათურის გასაცნობათ, თუმც არც მანამდი და არც შემდეგ მამა თუმანოვი ჭიათურას არ დანახებია. და შვილი წვერათ ჩაეწერა მომავალ ბანკში. დაინიშნა კრება და აღგომა-დაჯდომით აირჩიეს ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით მისი მონა-მორჩილები, რომლებმაც ფიცი მიიღეს მის ქვეშევრდომობაზე და დღემდის, უნდა გამოვტყდეთ, სინდისიერათ ასრულებენ თავის ფიცს.

კრება გახსნა თავადმა ს. წერეთელმა, საბჭოს წევრმა, და გამოუცხადა კრებას რომ არც ერთი ვეჭილობა არ იქნა მიღებული, რადგან დროზე არ იქნა წარმოდგენილი და წესდებაშიც ასე გვეწერიაო. ესლა კი გთხოვთ კრების თავმჯდომარე ამოიჩინათო.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა თ-დი ა. მაჩაბელი, რომელიც მეტათ უვარგისი თავმჯდომარე აღმოჩნდა. ვეჭილობები კი არ მიიღეს, მიუხედავთ იმისი, რომ ბევრი მათგანი 24 მარტს იყო წარდგენილი და ბევრი კრების წევრიც თხოულობდა ამას. გამგეობის წევრები წინააღმდეგი იყვენ მათი მიღებისა, რადგან მათი აზრით დაცული არ იყო წესი მათი წარმოდგენისა. ნამდვილი მიზეზი კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ ის იყო, რომ ვეჭილობების და ვეჭილების უმრავლესობა გამგეობისთვის არა სასიამოვნო პირები იყვენ.

შემდეგ თავადმა კ. აბაშიძემ წაიკითხა ანგარიში ბანკის მოქმედებისა, რომლის შინაარსი მოკლეთ ასე შეიძლება გადმოიცეს: მიუხედავთ იმისა, რომ ჩვენმა ბანკმა დაიწყო მოქმედება მარგანეცის საშინელ „კრიზის“ დროს. თუ შეადარებთ ჩვენი ბანკის მოქმედებას სხვა ბანკებს განცვიფრებაში მოხვალთ, თუ როგორ შეუდარებლათ გვიშრომია ჩვენო და სად იყვენ აქამდი კაცობრიობა რომ ჩვენისთანა კაცები შეუმჩნეველი ყავდა მასო. იცით რამდენი მოვიგეთო? სულ სამასი

მანეთიო. თუმც მოგება მეტი იყო, მაგრამ ის ჩვენ წავიღეთ, ღირებულებებმაო, და თქვენ მხოლოთ სამასი მანეთი მოგიგდეთ, რისთვისაც დიდი მადლობელი უნდა იყოთ, ჩვენ შეგვეხლო ისიც ჩვენ წავგველო და თქვენ მაშინ არაფერი არ დღვთქმითო. ამის შემდეგ მოხსენებაში მოყვანილია ანგარიში ბანკისა, საიდანაც დაინახავთ რომ ბანკს 5 მილ. მანეთზე მეტი წარმოება ქონია პროცენტის რიგინი უხდევინებია კლიენტებისთვის (11% სხვა ხარჯებს გარდა) მაგრამ მოგება თუ რამე ყოფილა, როგორც ზევითაც ვთქვით, ღირებულებებს წაუღია. აქ და ყოველთვის თავ. აბაშიძე აღარებს ჩვენ ბანკს და იმითი ხელმძღვანელობდა მთელი კრების გათავებამდი. 1902 წლიდან ბანკმა დაიჭირა „კავშირი ამხანაგობა“ „შავ-ქვასთან“ და დღეს ჩვენი ბანკი თუ არსებობს ეს მხოლოთ ამხანაგობის მეოხებითო“, განაგრძო თავადმა „აბა რა არის 231 ათასი მანეთი ძირითადი თანხა რომ მით ბანკს აქამდი მოეტანებიაო“, სთქვა მან და ამ თემაზე დიდი შესხმა უძღვნა როგორც ამხანაგობას, ისე ბანკს, უამხანაგობოთ ბანკი ერთ დღესაც ვერ იბოგინებო და სხვა. თურმე ნუ იტყვით ჩვენი ბანკის ღირებულებები იმავე დროს „შავი-ქვის“ ღირებულებათაც ყოფილან და აბა რა ცუდი იქნებოდა მათთვის, რომ აქაც და იქაც ორას-ორასი თუმანი ელო თითოს. შემდეგ თავ. აბაშიძე იმასაც კი შეეხო, რომ ჩვენ ბანკს დღემდის ვერც ერთ ბანკში (გარდა ქუთაისისა) ვერ გაუხსნია კრედიტი, მხოლოდ ამაში გამგეობა არაფერ შუაში არ არის და თვით საზოგადოება არის დამნაშავეო, თუმც განმარტებით არ განუმარტებია დასასრულ მოხსენებაში მოყვანილია შემდეგი ცნობები: სულ 1 იანვრ. 1903 წლისა ბანკში წვერი იყო 243 კაცი და სათაფნო ფული შეუტანიათ 23,400 მან. აქედან შავი ქვის მრეწველნი 138 კაცი, ვაჭრები 56 კაცი, მემამულე 15, მოსამსახურე 13 და თავისუფალი პროფესიის 21 კაცი და ამითი თავადმა აბაშიძემ დაამთავრა თავისი მოხსენება.

თავმჯ. გნებავსთ თუ არა იმსჯელოთ მოხსენების შესახებო?

ხმები. ჯერ სარევიზიო კომისიის მოხსენება წავიკითხოთ და შემდეგ ვილაპარაკებთო.

ბ. კრინიცი (სარევიზიო კომისიის წევრი) კითხულობს მოხსენებას რუსულათ, მაგრამ აწყვეტინებს ხალხი: „ქართულათ! ქართულათ ჩვენ რუსული არ ვიცით“.

ბ. კრინიცი უარობს და განაგრძობს კითხვას, მაგრამ ატყდება ხმაურობა და იძულებულია გაჩუმდეს.

ბ. კრინიცი. თუ გნებავსთ რუსულათ წავიკითხავ და თუ არა ქართულათ არც მსურს და არც წავიკითხავ.

თავ. თუმანოვი (ღირებულები), ჩვენ უთუოთ კანონის მოთხოვნილება ავასრულოთო და მიუხედავთ იმისა, რომ მოხსენება ადრევე ქონიათ გადათარგმნილი ქართულათ, მოხსენება მაინც რუსულათ წაიკითხეს, რასაკვირველია, მთელი მოხსენება ქებათა-ქება იყო გამგეობისადმი: დავთრები, თამასუქები, გასამართლებელი დოკუმენტები, ინვენტარი და საზოგადოთ ყოველივე სამაგალითოთ არის ნაწარმოები და **Ревизионная Комисія не может не обозначить фактъ о образцовомъ дѣйствіи служащихъ банка**“ო. ასე ასრულებენ რევიზორები თავის მოხსენებას. მაგრამ იქვე **Ревизионная комиссія не могла не обозначить двухъ упущенныхъ, сдѣланныхъ правленіемъ**“ო.

პირველი: შავიქვის დაგირაება (წვერილი ქვის) ხელსაყრელი ოპერაციაა, მაგრამ საჭიროა, რომ მეპატრონემ უთუოთ დაიხსნას იგი 6 თვის განმამავლობაში, თორემ ჩვენ ვიცით ამ ოპერაციამ ბევრ ბანკს სიმწრის ოფლი აწურვიაო. მეორე: მიუხედავთ იმისა რომ ღირებულებებს 1200 მა-

ნეთი ქონდა თითოს ჯამაგირი მათ 2000 მანეთი აუღია თითოს და ამითი ბანკს მოგება დაკარგვიაო. Правленіе не-  
 правильно получило по усмотрѣнію правленія, безъ  
 согласія совѣта банка жалованье по 2000 руб., хотя  
 совѣтъ послѣ и призналъ таковое дѣйствіе правленія  
 правильнымъ\*ო-

მესამე: ბანკიდგან სულ 12 წევრი გასულა უკანვე და  
 გამგეობას წესდების წინააღმდეგ მიუცია მათთვის გასვლისა-  
 თანავე საწევრო ფული და არა 6 თვის შემდეგი როგორც ეს  
 წესდებაში წერიაო.

მიუხედავით ამ მცირე შენიშვნებისა ჩვენი დირექტორები  
 მაინც გაწიწმატდნენ და პასუხი გასცეს რევიზორებს. ლაპა-  
 რაკობდა მხოლოდ თავადი აბაშიძე: რევიზორების შენიშვნე-  
 ბი სრულიათ უადგილოა და არც არის მისაღებო დაიწყეთ თ.  
 აბაშიძემ.

თ. ი. ნიჭარაძე (დამჯდარი \*). შეგვიძლია ჩვენ უყურადღე-  
 ბოთ დავტოვოთ სარევიზიო კომისიის მოხსენება და რათ წუხ-  
 დებით, თ. კიტა.

თ. აბაშიძე. შავიქვის დაგირავება ძალიან ხელსაყრელი  
 ოპერაციაა და იმისი ხელიდგან გაშვება შეუძლებელია. რაც  
 შეეხება რევიზორების შენიშვნას რომ 6 თვეში განაღდდეს  
 იგი, ესეც შეუძლებელია, მით უმეტეს რომ აქ საშიში არა  
 არის რა, რადგან ჩვენ სულ მცირე ფასს, 2 1/2 კ., ფუთზე ვა-  
 ძღვეთ და ბანკი ზარალს არასოდეს არ ნახავს.

კრინიცი. ჩვენ შეგვიძლია ვადა გამოუცვალოთ და %/0  
 შემოვატანიოთ 6 თვეზე, მხოლოდ %/0 შემოტანას და ვა-  
 დის გამოცვლასაც საზღვარი უნდა ქონდეს, თორემ შეიძლება  
 %/0ზე შეისვას და ბოლოს ქვა ძვირათ დაგვიჯდეს.

თავმჯდ. საქირაო მართლაც, რომ შეღავათის ვადა განი-  
 საზღვროს, თორემ შეიძლება ამან დიდი უთანხმოება გამოი-  
 წვიოს.

ი. ჯორჯიანიძე. ვადის განსაზღვრა სრულიათ შეუძლე-  
 ბელია. ეს ჩვენზე (გამგეობაზე) იყოს დამოკიდებული და ჩვენ  
 როგორც გვესურება, ისე მოვიქცევით (ესე იგი ვაი მისი  
 ბრალი, ვინც ჩვენ არ მოგვეწონება, იმას ვადას ვაღუდებთ კი  
 არა, ტყავს ვადაძრობთ, დაუმატებთ ჩვენ ამას. აკი ვააძვრეს  
 კიდევაც ერთ ურჩს ტყავი, რომელიც მეხუთე სიეზზე ზღა-  
 ნოვიჩის წინააღმდეგი იყო, — კ. ჟღერტს).

თ. აბაშიძე და თ. თუმანოვი მედგრაო იცავენ თავიანთი  
 უფლებების განუსაზღვრელობას და ამბობენ, რომ ეს ჩვენზე  
 იყოს დამოკიდებული, როგორც გვინდა ისე ვიმოქმედებთო.  
 ჩვენ ისე ცოტას ვაძღვეთ გირაოში, რომ ათი წელიწადიც  
 რომ დარჩეს ქვა გაუყიდველი, 5 კაპ. ზევით მაინც არ აი-  
 წვესო, განმარტებს თ. თუმანოვი.

კრინიცი. უკაცრავათ, ბატონებო, ათი წელიწადი თუ დარ-  
 ჩა ქვა გაუყიდველი, არამც თუ 5 კაპ., 20 კაპეიკიც კი და-  
 გვიჯდება და აბა, ვინ არის მაშინ, ზარალს რომ იზღავსო.

გ. წერეთელი. მწარმოებელმა თითონ არ იცის თუ რო-  
 დის გაყიდის ქვას და აბა როგორ შეიძლება ვადის გადაწყვე-  
 ტაო.

თავ. კ. გურგენი. შეღავათი მემამულეებს უნდა მიეცეს და  
 არა მარტო მწარმოებლებს.

\* ) უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თავადი გადამეტებით მედიდურობდა  
 მთელ კრებაზე: ლაპარაკის ნებას არავის არ თხოვდა და როცა ნებადა  
 მაშინ ლაპარაკობდა, თუ იტყოდა რამეს უთუოთ დამჯდარი. ერთი სი-  
 ტყვიო, ისე იქცეოდა, თითქოს სამიკიტნოში ყოფილიყოს. „სოფელი ვნა-  
 ხე უძალდო, შიგ გავიარე უჯოხხო“, უთუოთ ამითი ხელმძღვანელობდა  
 თავადი.

თ. მახაბული. მე თუ ვთქვი, რომ ვადა იქნეს გადაწყვე-  
 ტილი, მიტომ რომ ერთხელვე უნდა დადგინდეს წესი, რომ-  
 მლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს გამგეობა; თორემ მაგ ვა-  
 ნუსაზღვრელი უფლებით სხვადასხვა პირი სხვადასხვა ნაპრა-  
 ისარგებლებს და შეიძლება ბოროტმოქმედებაც ხშირი შემთხვე-  
 ვა იქნეს,

კ. წერეთელი. ჩემის აზრით გამგეობას შეუძლია დანიშნოს  
 ფასი ქვაზე, მხოლოდ ვადა კი უთუოთ განსაზღვრული უნდა  
 იქნეს.

ბ. მაღლაკელიძე (ყვირილელი ვაქარი). რადგან ეს კითხვა  
 ასე გამწვავდა, გადაწყდეს იგი ხმის უმეტესობით.

გამგეობა ამას ძალიან ეწინააღმდეგება და კითხვაც მათ  
 სასარგებლოთ წყდება.

თ. აბაშიძე (განაგრძობს ბრალდების გაქარწყლებას). მეო-  
 რე ჩვენი დანაშაული ვითომ ის უნდა იყოს, რომ 12 წევრი  
 გავიდა ბანკიდან და მათ გასვლისათანავე წესდების წინააღ-  
 მდეგ მივეციოთ საწევრო ფული. ასე მიტომ მოვიქცით, რომ  
 მათ არ ქონდათ სავალდებულო ქალაღზე ხელი მოწერილი.


კრინიცი ამტკიცებს, რომ ის პირები ექვსი თვის გან-  
 მომავლობაში ჩვენთან უნდა ყოფილიყვნენ წავება-მოგებაში  
 და ფულების აღრე მიცემა ბანკისთვის საზარალოა.

შემდეგ ვადავიდნენ გამგეობისგან ზედმეტი ჯამაგირების  
 აღების კითხვაზე.

თ. აბაშიძე. პირველ კრებაზე, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვა  
 მტკიცდებოდა, დირექტორებს 1,200 მანეთი დაენიშნა თი-  
 თოს მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ ბანკი მოგებას ნახავდა,  
 დირექტორებს უფლება ეძლეოდათ ეს 1,200 მანეთი გაეო-  
 ასთუმნებინათ. ჩვენმა ბანკმა მოგება ნახა და ჩვენც მიტომ  
 ავიღეთ ზედმეტი ჯამაგირები. იმავე კრებაზე იყო ლაპარაკი  
 რომ ერთ-ერთ დირექტორს კასირობაც მიეღო თავზე, მაგრამ  
 რადგან მოსალოდნელი იყო დიდი ოპერაციები, რაც კიდე-  
 ვაც გამართლდა, ამიტომ დირექტორს ესეც მოაშორეს და  
 გადაწყვიტეს კასირიც ყოფილიყო.

კრინიცი. ძალიან კარგი დაგეთანხმებით, რომ ეს მოგება  
 თქვენ უნდა წაველოთ, მაგრამ ჯერ მე მგონია ბანკის საბჭოს  
 უნდა დაკითხებოდით და მერმე წაველოთ მაინც... ნუთუ  
 ეს ჩვენი შენიშვნა ასე ასაღებებელი იყო, რომ თავადი  
 აბაშიძე ასე გააწიწმატა მან. თუ თქვენ ვერავითარ მცირე  
 შენიშვნასაც კი ვერ მოინდომებთ სარევიზიო კომისიიდან,  
 მაშინ რაღათ გინდათ კომისია გააუქმეთ იგი სრულიათ.

თ. აბაშიძე (აღელვებული). ჩვენ მოგება ვნახეთ, ეს ვუ-  
 ჩვენეთ საბჭოს, საბჭოც გვეხვეწა აიღეთო და ჩვენც ავიღეთ  
 (კრინიციის ხმა: არა თქვენ საბჭოს დაუკითხავთ ავიღით  
 ეგ ფული, საქმეებიდგან ასე სჩანს). ჩვენ არამც თუ ნებაყოფ-  
 ლობით, შეგვეძლო სულში გვეჩვილა და ისე აგველო ეს ფუ-  
 ლი და თუ ღდეს 300 მანეთს ამ მოგებიდგან თქვენ ვაძღვეთ,  
 ამაზე თქვენ მადლობის მეტი არა გეთქმისთ-რა, რადგან ისიც  
 ჩვენი იყო და შეგვეძლო წავგველო. ბევრი კამათის შემდეგ  
 კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ვადვიდა შემდეგ კითხვაზე:  
 წესდების ზოგიერთ მუხლების შეცდომაზე. ეს კითხვა გამგეო-  
 ბისაგან იყო მოთავსებული პროგრამაში, მაგრამ არც ერთი  
 მოსაზრება ამის შესახებ მას არ წარმოუდგენია, გარდა იმისა  
 რომ ერთ-ერთ მუხლში ითხოვა ჩამატებინათ რომ, გვეკონდეს  
 უფლება საზვარგარეთელი საქონელიც დავიგირაოთო. ვეჭი-  
 ლობების შესახებ მუხლი, შეცვალა რომელიც წევრებმა ით-  
 ხოვეს, როგორ მოგწონსო მკითხველნო; სამინისტროში შუა-  
 მდგომლობა უნდა აღძრან წესდების ზოგიერთ მუხლების შე-  
 ცვლის შესახებ და ამ შუამდგომლობაში მხოლოდ ორიოდ  
 სიტყვა იქნება: მოგვეცეს ნება საზღვარგარეთელი საქონელიც



დავივირავოთო. გამგეობას ან არ უნდა მოეხსენებინა ეს კითხვა ან სულ ასე მოუმზადებელი არ უნდა მოსულიყო კრებაზე, მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე. ამ დროს აღგება ი. არდიშვილი (ყვირ. ვაჭარი) და განაცხადებს: თავადო თავმჯდომარე, ეს როგორ მოხდა, რომ კრება აგერ-აგერ გათავდება და ჩვენ მდივანი არა გყავს და არვიცი იწერება სადმე ეს ჩვენი ნალაპარაკები თუ არა?

თუმანაფი. ბანკებში არ არის შემოღებული მდივნის ყოლა და ოქმსაც მე შევადგენო.

ი. ანდიშვილი მე ეგ პირველათ მესმის,

თ. თუმანაფი. ეგ არაფერს არ ნიშნავს თქვენ რომ არ იციო.

თამაჯ. ეხლა ვთხოვ კრებას მოისმინოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა.

თავ. აბაშიძე კითხულობს. ხარჯთაღრიცხვას, რამაც კარგა გვარიანი კამათი გამოიწვია—სულ მთელი ხარჯთაღრიცხვა უღრის 12.200 მანეთს, რომლიდანაც ღირებულებებს აუღლიათ თავისთვის 6.000 მან., ესე იგი ნახევარი, დანარჩენი 6.200 მან. სხვა ხარჯებისათვის გადუღლიათ.

თამაჯ. ვისაც არ მოგწონსთ ეს ხარჯთაღრიცხვა, გთხოვთ აბძანდეთ.

ი. ანდიშვილი. ბატონო თავმჯდომარე, არ შეიძლება ამ კითხვის აღდგომ-დაჯდომით გადაწყვეტა, სანამ ცოტას მაინც არ მოვილაპარაკებთ და ერთიერთმანეთს არ დავარწმუნებთ რამეში. როგორ შეიძლება ასე კითხვის დაყენება?

თ. წერეთელი ეს ნამეტანი ბევრი ხარჯია და ჩვენი ნორჩი ბანკი ვერ ვერ აიტანს ამდენ ხარჯებს.—

გ. ბუჩქიძე (ყოფილი დემოკრატი). მე ამ ხარჯების წინააღმდეგი არ ვარ. თუ არაფერი მოვიგეთ, სახლიდან, ხომ არ მოგვატანინებენ ფულს.

გამკეობა. ჩვენ უთუოთ დიდი მოგება მოგველის და ამ ხარჯებს უთუოთ ავიტანთ, მხოლოდ თუ ვერა მოვიგეთ-რა, რასაკვირველია, ძირითად თანხას უნდა მოაკლდეს.

ი. კაკაბაძე. დარჩეს ძველი ჯამაგირი, მხოლოდ თუ მოგება ვნახოთ, მაშინ მივცეთ ზედმეტი ჯამაგირები ღირებულებებს.

კ. ჟღერტი. მე წინააღმდეგი არა ვარ ჯამაგირების მომატების. თუ კაცი შრომობს, თავისი გასამრჯელოც უნდა მიეცეს. თუ ჩვენი ღირებულებები მართლაც იმდენს შრომობენ, რომ თავიანთ დროს სრულათ ჩვენ საქმეებს ანდომებენ, რატომ არ მივცეთ რიგიანი ჯამაგირი? მაგრამ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ესენი მეტ დროს სხვა საქმეს ანდომებენ და ცოტას ბანკს, ერთ და იმავე დროს ისინი ბანკშიაც არიან და „შავკვაშიაც“, სადაც კარგ რიგიან ჯამაგირს იღებენ. ყველანი ჩვენ მოწმენი ვართ მისი, რომ მთელი დღე ეგენი „შავკვის“ საწყობებზე დადიან და ქვას იღებენ. ჩვენ თუ ვერ ვჩნდებით დღეს თამამად და ვერ ვეუბნებით ამას, ეს არაფერს არ ნიშნავს, თორემ გულში ყველას სურვილია, რომ ორ ღირებულებას 2,400 მან. დაენიშნოს და ერთი უჯამაგიროთ იყოს ან და ერთ ღირებულებას ჯამაგირი მივცეთ და კასირობაც დაავალოთ. თუ ჩვენი მოგება მაგათ წაიღეს, ჩვენ რაღა მოხელე ვართ აქ. არ არის კარგი ერთმა კაცმა 4,000—5,000 მან. აიღოს, სხვამ სულ არა. მით უფრო ვადვივარ ჯამაგირების მოკლებასზე, რომ ეგენი ჩვენთვის იმდენს არ შრომობენ და ძვირათ ნახავთ სამივეს, რომ ბანკში იყვენ და მუშაობდენ, ერთი ან ორი უთუოთ არ არის ჭიათურაში.

თ. ივანე ნიჟარაძე ამბობს სიტყვას, აქებს და აღიდებს ღირებულებებს და მათ მოქმედებას და ასე ათავებს: ჩვენ ძალიან ბევრი ვეძიეთ და საუკეთესოთ ესენი ვნახეთ მთელ სა-

ქართველოში. ნუ თუ ეხლა მათ ჯამაგირები უნდა მოვუკლოთო.

თავ. აბაშიძე. 1200 მანეთი ისე ცოტაა, რომ ამდენი ყოველად შეუძლებელია კაცმა ჭიათურაში იცხოვროს. ის საკვირველია, კნიაზისთვის ცოტაა ეს. ჩვენ ვალებით ყელამდის ავიმსეთ აგერ. ჩვენ კარგათ უნდა გვეცვას, კარგათ უნდა გვეხუროს, I კლასით დავდიოდეთ, თორემ გარეშე ხალხი ჩვენ, თქვენ ღირებულებებს, გლახათ შემოგვხედავს, ამისთვის კი დიდი ფულებია საჭირო. აბა რა არის 1.200 მან, რომ მითი კაცმა იცხოვროს?

ბ. მადლაკელიძე. ჩვენ არასოდეს არა ვართ მისი წინააღმდეგი, რომ კაცმა თავისი საშრომი აიღოს, მხოლოდ ამასთანვე ჩვენი სურვილია ხარჯები ცოტა შემცირდეს, რომ ჩვენც გვერგოს რამე დივიდენდათ, თორემ რა ინტერესი უნდა გვექნეს, რომ ჩვენი ფული უსარგებლოთ იდევს აქ. აიღეთ იმავე თბილისის სამეურნეო ბანკის მაგალითი, რომელზედაც გამგეობა მუდამ ხელს გვითითებდა თავის მოხსენებაში და ნახავთ, რომ პირველ ხანებში ღირებულებები კასირობაც იყო, რატომ აქ კი არ შეიძლება ეს.

ი. ლორთქიფანიძე. ეს ბანკი მოგებისთვის არ არის, სრულყოფილად დაარსებული არამედ მისთვის, რომ ერთი მეორეს ხელი გაეუმართოთ და შეღავათი მივცეთ (ამ რამდენიმე წუთის წინ კი გაიძახოდა „ტყავს გავაძრობთ, ვინც თავის დროზე ფულს არ შემოიტანს, იმისთანა ჯარიმებს და სარგებელს გადავახდევინებთო).“

თამაჯი ივანე: ეს ბანკი ჩვენი დაარსებულია, ჩვენ მოვიყვანეთ ისინი, სამსახურზე ხელი ავადებინეთ და რაც ჩვენ გვსურს, იმას მივცემთ ჯამაგირს, ვისაც არ მოგწონთ, მიბძანდით.

ტ. წერეთელი. მაგალითათ აიღეთ სამეურნეო ბანკი და ნახავთ იქ როგორ მოქმედებენ. (ხმები გამგეობიდან: სამეურნეო ბანკი ჩვენთვის მაგალითი არ არის) (?) ერთი სიტყვით გამგეობა საშინელი გულმოდგინებით იცავდა თავს რომ მას არ მოკლებოდა გემრიელი ლუკმა. შემდეგ მოითხოვეს რა ეძლევა ბუხგალტერსო

თ. აბაშიძე: ბუხგალტერი, მისი თანაშემწე, კასირი, მწერლები, მოსამსახურეები და სხვა 4,000 მანეთი.

ამაზედ შეიქმნა ხმაურობა და არაფრის გაგება არ შეიძლებოდა თუ ვინ რას ამბობდა. ამდენი ხალხი და 4000 მანეთი შეიძლება მაშინ, როდესაც სამი კაცი 6000 მანეთს იღებსო“ ისმოდა ხმები „ბუხგალტერებზეა დამოკიდებული ჩვენი ბედ-იღბალიო“, და სხვ.

ი. ლორთქიფანიძე. ეს ჩვენი საქმე იქნება და ბუხგალტერს შეგვიძლია მეტი ვაჩუქოთ, თუ საჭიროთ დავინახავთ (რასაკვირველია, კნიაზებს ჩუქქვა უყვართ და არა შრომის დაფასება).

კ. წერეთელი, ბატონებო, გარდა იმისა, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და გვეხათრება ერთმანეთის და მიტომ ვერ ვაცხადებთ პროტესტს ამ ხარჯთაღრიცხვის შესახებ, მასთანვე ჩვენ იმერლები ვართ და მით უფრო არ გვეხერხება ეს, ამიტომ მე გთხოვთ კენჭი უყაროთ ამას და მაშინ გამოირკვევა ყოველისფერი. ამას მხარი დაუჭირა ტ. წერეთელი, ბბ. არდიშვილი და მალლაკელიძემა შეიქმნა საშინელი ხმაურობა, ზოგიერთმა მწარმოებლებმა (კ. ყიფიანი, პ. აბაშიძე) ყვირილით და მუშტით მიიწიეს ვაჭრებზე: „ნუ თხოულობთ კენჭის ყრას!“ და რამოდენიმე წუთს დიდი აურხაური იყო დარბაზში და რამდენიმე წუთს კრება შესწყდა განახლების შემდეგ ი. არდიშვილი შემდეგი განაცხადა: ვაჭრებმა მომანდევს მე შემდეგი გადმოგვცეთ ბატონებო, ნუ იფიქრებთ თქვენ, რომ ჩვენ მაინცდამაინც დიდი სარგებლობა გვექონდეს.. ნუ

დაიფიქსებო, რომ ჩვენ აქ მანათი სამი შაური უკანასკნელი გვიჯდება. იანგარიშით 11% და მისვლა-მოსვლის ხარჯები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ მართალი ვართ. ესლა სოფლებშიც კი რამდენიც გნებავთ ფულს 10% იზოვით და იქ არც პროტესტის შიშია და არაფერი. ჩვენ თუ აქ ვართ, იმიტომ რომ ეს ბანკი საზოგადო დაწესებულებაა და თანაც ცოტა სარგებელიც ერგოს ჩვენ სათაფრო ფულს, მხოლოდ თუ ასე ემატა ხარჯებს და ჩვენც არა გვერგო-რა, ჩვენ მაშინ გავდივართ ბანკიდან...

მიბძანდით, მიბძანდითო, მიბძახეს მათ და ვაჭრებმა დასტოვეს დარბაზი შემდეგი სიტყვებით: ჩვენ აქ საჩხუბრათ არ მოვსულვართ.

კ. წერეთელი, ჩემ გასამტყუნრათ გთხოვთ დაუდგათ ამ კითხვას ყუთი და ნახავთ თუ უმრავლესობას არ უნდა ხარჯების მოკლებაო. მაგრამ მწარმოებლები „ურას“ ყვირილით წინააღმდეგობდა. თავმჯდომარემაც მიაგნო ხალხის სუსტ მხარეს და არაფრით არ დათანხმდა კითხვის ყუთის დადგმით გადაწყვეტას. ამ დროს ექიმმა ჯაფარიძემ წასჩურჩულა თავმჯდომარეს (ჩვენ ამ დროს კულისებში ვიყავით და გვიგონეთ ეს): „იქ ბევრი ზედმეტი ელემენტი და გარეკეთ ისინი აქედან“.

თავმჯდომარეც შეასრულა ექიმის თხოვნა და გარეშე ხალხიც გარეკეს დარბაზიდან. კითხვა მაინც ადგომა-დაჯდომით გადაწყდა და ხარჯთ-აღრიცხვა ხმის უმეტესობით მიღებული იქნა.

შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას არჩევნები მოესწინათ, მხოლოდ უთუოთ ესეც ადგომა-დაჯდომით უნდა მომხდარიყო. ამანაც რასაკვირველია ბევრი ალიაქოთი ასტეხა და ბევრი ეცადენ ზოგიერთები დამტკიცებინათ თავმჯდომარისთვის რომ ყუთები დაეღვათ, მაგრამ ამაოთ. „ურა“ მიბძახეს მწარმოებლებმა და ადგენ ფეხზე.

თავმჯდ. ბატონებო, ამის შესახებ წესდებაში არაფერი არ არის ნათქვამი და თქვენ როგორც გადაწყვეტთ ისე მოვიქცევი. ვისაც სურს, რომ ყუთი დაიდგას გთხოვთ ფეხზედ ადგეთ.

ტ. წერეთელი. ბ. თავმჯდომარე! ჩვენ ვთხოვლობთ ყუთი დაეღვას ღირებუროს და არა ადგომ-დაჯდომით იქნეს არჩეული. თქვენ კი ამ ჩვენ თხოვნას, ადგომა-დაჯდომის შესახებ ადგომ-დაჯდომით სწყვეტთ, აი აქ არის თქვენი ლოლიკური ნახტომი და შეცდომა, ეს როგორ შეიძლება. მართალია ყუთის დადგმა წესდებაში არ წერია, მაგრამ არც ადგომა-დაჯდომია წერია წესდებაში. ყველგან, სადაც კი მინახავს რაიმე ჩვენები, უთუოთ ყუთი იდგმის და რა არის ეს ჩვენი ბანკი (ცხარობს)?

თავ. ივანე. დავილაღე ბატონო, თავმჯდომარე, მე მოსვენება მჭირდება და მოსვით ეს კითხვა ჩქარა, ავდგებით და გავათათოთ საქმე.

ი. ჯორჯიანიძე. კი, გენაცვალე, ასე სჯობია, პატარა კიდევ შეიწუხებთ თავი, თავადო ივანე, და ეხლავე მოგჩხებით „ურა“ მიბძახეს კიდევ მწარმოებლებმა მოვაჭრეებს: „არ გაბედოთ ყუთიო“ და ადგომ-დაჯდომით ისევ თუმანოვი აიძრის დერეჟტორათ.

ამ დროს შემთხვევით წავესწარი ორი კაცის ლაპარაკს ერთი იყო ვაჭარი, მეორე მწარმოებელი ქვის. „რა ვქნაი ძმაო, რომ არ ამდგარიყავი, კრედიტის დროს და ფულის დროს ყელში ბაწარს წამიჭერდნო, უთხრა ვაჭარმა.—შენ კრედიტით გაგიჭირვებდნ საქმეს, ეგ კიდევ არაფერიო“, უთხრა შავიქვის მრეწველმა—ჩემ ქვას ერთ ფუთსაც აღარ მიიღებდა და მე

ტყავი გამძვრებოდაო და თუ მიიღებდა 10 ვაზ. ქვას 6 კაზ. მეტს აღარ მომცემდნო. ყოფილიყო ყუთი ის ნახავდა თავის სერს და ეხლა რაღა გაეწყობაო. ასარჩევნ რეკრუტდენ. სიბჭოს წევრები—„დარჩეს ყველა ძველები და ახლები“ გაისმა ერთბაში ყვირილი და ხმაურობა. ვინ არის ეს ლეონიძე ან რა დააშავა მან, მართო მას რომ ცვლიან, ამაზე კაცს სიტყვა არ უთქვამს—იგი იყო მეხუთე კრებაზე ზღანოვიჩის წინააღმდეგი და აი რა დააშავა მან დაუმატებთ ჩვენ ჩვენათ.

—მოლით და ნუ დაეთანხმებით ბ. ემერიკს, რომელიც ერთერთ გაზეთში ამბობდა—ზღანოვიჩი სხვისი უფლებით მეგობრებს ყიდულობსო, განა ჩვენი ბანკირები სხვისი უფლებით ნაყიდი ზღანოვიჩის მეგობრები არ არიან? ასე დასრულდა ამ ბანკის დღევანდელი კრება და გასაკვირიც არ არის, მან ადგომა-დაჯდომით დაიწყო თავისი მოქმედება და მითვე მიღოს ვნახოთ შემდეგი რა იქნება.

ამ ნაირმა უშეგინო მოქმედებამ თვით კრინიციკი კი შეაშფოთა და შუა კრებაზე თავი მიანება და სადაც წავიდა. სარევიზიო კომისიაში ისევ თ. კრინიციკი და ბ. ბერიძე დასტოვეს და შემდეგ კომიტეტის წევრები აიძრის, რომელსაც ჩვენ ვეღარ დავესწარი.

წერი.

დრ. რედ. ნ. ავ. ლექსიავ-მესხაევა.  
გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

**„ქართული დრამატული საზოგადოების“**

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

**სამს პრემიას:**

300 მან., 200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატულ ნაწარმოებთა დასაჯილდოებლათ.  
პრემიის პირობები შემადგია:

- 1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.
- 2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.
- 3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართული დრამატული საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედწარწერით; პიესასთან ერთათ უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.
- შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსათ.
- 4) პიესის საპრემიოთ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.
- 5) „დრამატული საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.
- 6) დაჯილდოებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარათ თითოეული წარმოდგენის მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.
- 7) შემდეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

(6 0—0)